2010 წელი, 18 - 24 მარტი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№9 (483) გამოდის 1998 წლიდან

სტუმრად ახალციხეში

გვერდი 11

აბიტურიენტებო,
თვალი ადევნეთ ჩვენს რუბრიკას
და გააკეთეთ სწორი არჩევანი!

„აირჩიეთ, სად ისწავლით“

▪ თბილისის საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო ქერა

გვერდი 4

მასწავლებელთა მოსაზრებები საგამოცდო ტესტების აპრობაციის შემდეგ

გვერდი 5

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან

გვერდი 6-7

ადამი და ღვთის მაძიებელი ადამიანი

გვერდი 8

მოსწავლეთა კომპანია

გვერდი 9

„დიდი ქართული რომანი“, რომელსაც მკითხველი მუდამ ეყოლება

გვერდი 10

აირჩიეთ, სად ისწავლით

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

სასწავლებლად გიწვევთ სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი – თბილისის საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტი. (034)

ჩვენი პრიორიტეტებია: სწავლება და დასაქმება ერთად. სტაჟირება მესამე კურსიდან;
სტიპენდიები წარჩინებულთათვის; მცირე ბიზნესსესხები კურსდამთავრებულთათვის;
სწავლის საფასურის გადასახდელად ბანკის კრედიტის მიღება.

სწავლის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საფასური და ყველაზე დიდი შეღავათები:
აბიტურიენტს, რომელიც პირველ ნომრად აირჩევს ჩვენს სასწავლებელს, სწავლის საფასური შეუმცირდება 15 %-ით, შესაბამისად, მეორე ნომრად არჩევის შემთხვევაში – შემცირება შეადგენს 12 %-ს, მესამე ნომრად არჩევის შემთხვევაში კი – 10%-ს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახის წევრებს სწავლის საფასური შეუმცირდებათ 20%-ით, ანუ 500 ლარით.

მიღებას ვაცხადებთ შემდეგ ფაკულტეტებზე:

ბიზნესისა და მართვის (03401)
მისაღები კონტინგენტი – 105
სპეციალობები: საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; მენეჯმენტი და ადმინისტრირება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (03402)
მისაღები კონტინგენტი – 20
სპეციალიზაცია: ფილოლოგია
ქვესპეციალიზაცია: ინგლისური ენა და ლიტერატურა.

სამართლის (03403)
მისაღები კონტინგენტი – 35
სპეციალობა: სამართალმცოდნეობა.

ღია კარის დღე 12 მარტს, 14 საათზე

მისამართი: თბილისი, აგლაძის 37, III სართული (დიდუბე – სავაჭრო ცენტრ „მეგალაინთან“)
ტელეფონი: 96-36-41. www.bankfininst.edu.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

იწვევს პირებსა და ორგანიზაციებს ინტერესის გამოხატვის წერილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენად

მიზანი

ეროვნულ უმცირესობათა განათლება არის მთელი განათლების სისტემის ინტეგრალური ნაწილი, რომელიც ასახავს მიმდინარე ინოვაციებს და რეფორმებს. საქართველოში ამჟამად არის 400-მდე არაქართულენოვანი სკოლა. ეს სკოლები იღებდნენ სახელმძღვანელოებს საზღვარგარეთიდან – რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ნიშნავს სწავლების ენისგან დამოუკიდებლად განათლების უნიფიცირებული სივრცის შექმნას.

ამ მიზნის მისაღწევად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრთან ერთად განახორციელა დადებითად შეფასებული წიგნების თარგმნა. სახელმძღვანელოები 1, 2, 3, 7, 8, 9, 10 და 11 კლასებისთვის უკვე ითარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. გარდა ამისა, მე-7 და მე-8 კლასების ისტორიის სახელმძღვანელოები ითარგმნა აფხაზურ და ოსურ ენებზე. შემდგომი ნაბიჯი იქნება ეროვნულ უმცირესობათა ენებზე მე-4 და დარჩენილი მე-10 კლასების სახელმძღვანელოების თარგმნა.

სამუშაოს მასშტაბი

შესასრულებელია შემდეგი სახის სამუშაოები: IV და X კლასების სახელმძღვანელოების თარგმნა რუსულად, სომხურად და აზერბაიჯანულად;

IV კლასი

პაკეტი 1		გვერდების რ-ბა
	ხელოვნება (მოსწავლის სახელმძღვანელო)	60
პაკეტი 2		გვერდების რ-ბა
	მათემატიკა (მოსწავლის სახელმძღვანელო)	362
პაკეტი 3		გვერდების რ-ბა
	მუსიკა (მოსწავლის სახელმძღვანელო)	45
პაკეტი 4		გვერდების რ-ბა
	ბუნება (მოსწავლის სახელმძღვანელო)	60
პაკეტი 5		გვერდების რ-ბა
	ფიზიკური აღზრდა (მოსწავლის სახელმძღვანელო)	50

X კლასი

პაკეტი 6		გვერდების რ-ბა
	ხელოვნება (მოსწავლის სახელმძღვანელო)	104
პაკეტი 7		გვერდების რ-ბა
	ბიოლოგია (მოსწავლის სახელმძღვანელო)	128
პაკეტი 8		გვერდების რ-ბა
	ქიმია (მოსწავლის სახელმძღვანელო)	165
პაკეტი 9		გვერდების რ-ბა
	მუსიკა (მოსწავლის სახელმძღვანელო)	69
პაკეტი 10		გვერდების რ-ბა
	ფიზიკა (მოსწავლის სახელმძღვანელო)	158

ინტერესის გამოხატვის წერილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა შეიძლება ზემოთ მითითებული 10 პაკეტიდან ერთ-ერთზე, რამდენიმეზე ან ყველა პაკეტზე ერთად.

მოცემული გვერდების რაოდენობა დაახლოებითია. რეალური გვერდების რაოდენობა დაითვლება თარგმანის მოწოდების დროს (გვერდის მოცულობაში იგულისხმება დაახლოებით 200 ლექსიკური ერთეული ან დაახლოებით 1500 სიმბოლო).

კონტრაქტორმა 5 თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე მაღალი ხარისხის თარგმანი; მასალების ეტაპობრივი მიწოდება თვის პირველ რიცხვში; მასალების მიწოდება ელექტრონული ფორმით დაკაბადონებული, მზად გამოსაცემად.

წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვის წერილების საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი შეარჩევს საუკეთესო კვალიფიკაციის მქონე ერთ პირს ან ორგანიზაციას ერთი პაკეტისათვის.

კონტრაქტორის შერჩევისას ცენტრი იხელმძღვანელებს კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდით (სახელმძღვანელო: მსოფლიო ბანკის სესხის მიმღების მიერ კონსულტანტების შერჩევისა და დაქირავების შესახებ გამოცემული 1997 წლის იანვარში, ცვლილებები შეტანილია 1997 წლის სექტემბერში, 1999 წლის იანვარში, 2002 წლის მაისში და 2004 წლის აპრილში).

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

– დადგენილება სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ (წესდების ან დებულების თანდართვით);

– ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

– უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ ინფორმაცია (შემსყიდველი ორგანიზაციისა და ხელშეკრულებების ღირებულების მითითებით);

– ინფორმაცია მთარგმნელთა კვალიფიკაციის შესახებ, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ამ მომსახურებაში (დამადასტურებელი დოკუმენტების ჩათვლით – CV ან ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხებათ აგრეთვე ქვეკონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

ინტერესის გამოხატვის წერილები და სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში შემდეგ მისამართზე:

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52, მე-2 სართული, ოთახი №257
ტელეფონები: 95-83-13
ელფოსტა: eezugbaia@ganatleba.org
საკონტაქტო პირი: ქ-ნი ეკა ეზუგბაია

ინტერესის გამოხატვის წერილების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2010 წლის 19 მარტი, 17:00 სთ.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მიიღება, თუ წარმოდგენილ იქნა დაგვიანებით ან თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

„ასწავლე საქართველოსთვის“

საქართველოს რეგიონებში მრავალი პრობლემური სკოლაა, სადაც კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მათი ადგილზე შენარჩუნება ძალიან ჭირს. არსებული სტატისტიკური ინფორმაცია მოწმობს, რომ მასწავლებელთა 14%-ს არ აქვს უმაღლესი განათლება. ასევე, ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებელი არ არის იმ საგნის სპეციალისტი, რომელსაც ასწავლის. ზოგიერთი რეგიონის სკოლებში საერთოდ არ მოიძებნება შესაბამისი საგნის მასწავლებელი. ამაზე მეტყველებს შეუვსებელი ვაკანსიები, რომლებიც გამოქვეყნებულია ცენტრის მიერ შექმნილ მასწავლებელთა ვაკანსიების ვებგვერდზე www.pedagogi.ge, მაგრამ თვეობით რჩება ვაკანტური. ასეთი სიტუაცია იწვევს სწავლის ხარისხის დაქვეითებას. ვითარება განსაკუთრებით პრობლემურია მაღალმთიანი რეგიონების სკოლების შემთხვევაში. მასწავლებელთა საჭირო და მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ კვლევის მიხედვით, მასწავლებელთა ყველაზე მწვავე ნაკლებობა შეიმჩნევა ისეთ რაიონებში, როგორიცაა: მესტია, ყაზბეგი, ახალგორი, დუშეთი, წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, ხულო და შუახევი. ამ რაიონებში არსებული პედაგოგების საერთო რაოდენობა 30-60%-ით ნაკლებია საჭირო რაოდენობაზე.

ასევე, კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლის პროფესია არაპოპულარულია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებში და ისინი იშვიათად ირჩევენ მას. ამ პრობლემების ფონზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა შეიმუშავა პროექტი „ასწავლე საქართველოსთვის“.

პროექტის უმთავრესი მიზანია კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნება ვაკანსიების მხრივ პრობლემურ სკოლებში და, ამ გზით, სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. თუმცა, პროექტი ასევე ემსახურება, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას; კვალიფიციური კადრების დინტერესებას მაწსავლებლის პროფესიით და სასწავლო პროცესში ენერგიული და მოტივირებული ახალგაზრდების ჩართვას.

„ასწავლე საქართველოსთვის“ პროექტის განხორციელება დაიწყო 2009 წლის მარტიდან. პილოტირების პირველ ეტაპზე მოხდა იმ სკოლების იდენტიფიკაცია, სადაც ზოგადად კვალიფიციური კადრების, კერძოდ კი – კონკრეტული საგნის მასწავლებლების ნაკლებობაა. საგანმანათლებლო რესურსცენტრების დახმარებით საქართველოს რეგიონების სკოლებიდან შეგროვდა ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ. ცენტრმა, სპეციალური კითხვარების მეშვეობით, შეარჩია ისეთი სკოლები, სადაც კვალიფიციური საგნის მასწავლებლების დეფიციტი ყველაზე კრიტიკულია. ცენტრმა მოინახულა შერჩეული სკოლები და შეაფასა სკოლის რესურსები, თემი და გარემო პირობები. ასევე, მოიძია საცხოვრებელი ადგილი მასწავლებლებისათვის“ – ამბობს **სოფო გორგოძე**, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლების მხრიდან დაფიქსირდა მოთხოვნა შემდეგი საგნების სპეციალისტებზე: უცხო ენის (რუსული, ინგლისური და ფრანგული), ქართული ენის, ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის სპეციალისტებზე, აგრეთვე, ფიზკულტურის, ხელოვნების, მუსიკის და და დაწყებითი კლასების მასწავლებლებზე.

სკოლების შერჩევის პარალელურად, ჩატარდა მასწავლებლობის მსურველთა შესარჩევი კონკურსიც, რომელიც სამ ეტაპად დაიყო: განაცხადის მიღება, ტესტირება საგანში და გასაუბრება. შესარჩევი კონკურსი ითვალისწინებდა შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს: საგნის ცოდნა; ინტერესი საგნისადმი; პროექტში მონაწილეობის მოტივაცია; ინფორმირებულობა ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ; წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; უცხო გარემოში ადაპტაციის უნარი; კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა და სხვ. კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 500-მდე საგნის სპეციალისტმა. კომისიამ შეარჩია 242 სპეციალისტი. მათ ტესტირება გაიარეს სხვადასხვა საგანში. ტესტირება ჩატარდა გამოცდების ეროვნული ცენტრის დახმარებით და გაიმართა: თბილისში, გორში, ახალციხეში, ქუთაისსა და ბათუმში. ტესტირების შედეგად შეირჩა 101 კონკურსანტი, რომლებსაც ჩაუტარდათ გასაუბრება.

საბოლოოდ, შეირჩა 43 კონსულტანტ-მასწავლებელი, რომლებმაც გაიარეს ინტენსიური ტრენინგები პედაგოგიურ უნარჩვევებსა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. 14 სექტემბრიდან კონსულტანტ-მასწავლებლები დასაქმდნენ შესაბამის სკოლებში. კონსულტანტ-მასწავლებლები გადანაწილებული არიან შემდეგ რეგიონებში: ქვემო ქართლი, კახეთი, დუშეთი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი.

12-13 მარტს გაიმართა პროექტის შუალედური კონფერენცია (2-დღიანი), რომელზეც წარმოადგინეს პროექტის მონიტორინგის შედეგები. მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები და გადაეცათ დამხმარე მასალები (წიგნები, ფილმები).

პედაგოგებს, ხელფასის გარდა, ეძლევათა 250-ლარიანი სტიპენდია, რაც 2010-2011 წელს 500 ლარი გახდება.

ძეთევან კვირიაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ამბროლაურის რაიონის სოფელი ბუგეული:

„მე საქართველოსთვის ვასწავლი! – გამოგიტყდებით, პროექტის სახელწოდებამ თავიდანვე მომხიბლა. მახსოვს, როდესაც ანკეტას ვავსებდი და ვპასუხობდი კითხვას, რატომ მოინდომეთ ამ პროექტში მონაწილეობა, აღვნიშნე, რომ ეს ერთგვარი გამოწვევა იყო, თუმცა პირველ რიგში, ჩემი გადაწყვეტილება საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქმე, რომელსაც პროექტის მონაწილეები ვაკეთებთ, ქვეყნის მომავალს წაადგება!“

ნინო მესტვირიშვილი, ბიოლოგიის მასწავლებელი, ონის რაიონის სოფელი პიპილეთი:

„თბილისში ვმუშაობდი პედაგოგად ერთ ძალიან კარგ სკოლაში. ტელევიზიით მოვისმინე პროექტის „ასწავლე საქართველოსთვის“ შესახებ. ეს იყო აუხსნელი იმპულსი, რომელმაც მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. კონკურსში გამარჯვება ნამდვილად ღვთის წყალობა იყო. მე აღმოვაჩინე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კუთხე, რომელიც უზომოდ შემიყვარდა, ადგილობრივები მეკითხებიან, თბილისელი ქალი აქ რამ ჩამოგიყვანაო. მე კი კითხვითვე ვპასუხობ, თქვენ როგორ მიდიხართ აქედან-მეთქი“...

სოფიო თაბაგარი, ინგლისურის მასწავლებელი, ჩოხატაურის რაიონის სოფელი ჩხაკოურა:

„სიცოცხლის სამოსახლოა ჩემი პატარა გურია“...თურმე ცხოვრებაში ბევრი რამ მაკლდა, სანამ ამ მხარეს, ამ სოფელს და მის მაცხოვრებლებს გავიცნობდი. უზომოდ მიყვარს ჩემი პატარები. ისინიც ჩემი ხათრით და იმის საჩვენებლად, თუ როგორ ვუყვარვარ, ინგლისურად მელაპარაკებიან ხოლმე. ერთხელ თოვლში ნაფეხურებით (და თანაც ინგლისურად) დამიწერეს, არ მივატოვო ისინი არასდროს. თუ სადმე მივდივარ, ერთხმად მთხოვენ ხოლმე, მალე დაბრუნდე...“

ნანა ასანიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ამბროლაურის რაიონის სოფელი ველევი:

„ველევში ჩემს გამოჩენას არავინ ელოდა. ძალიან გაიხარეს, მასწავლებელი რომ ჩაუვიდათ. ტკბილი და თბილი ხალხია რაჭველები. „დამპირდნენ“, სასიძოსაც შეგირჩევთ და აქედან აღარ გაგიშვებთო. ბედნიერებაა, რომ ზუსტად იქ ვარ, სადაც ადამიანებს ვჭირდები. ვაკეთებ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს და ვემსახურები ჩემს სამშობლოს! დარწმუნებული ვარ, ჩემი მოსწავლეები ქვეყნის საამაყო შვილები იქნებიან და მეც ვიამაყებ მათით!“

ირმა ხმელიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, თეთრიწყაროს რაიონის სოფელი შავსაყდარი:

„რომ ვთქვა, ყველაფერი კარგად დაიწყო-მეთქი, ალბათ, არავინ დამიჯერებს. იყო ადაპტაციის რთული პერიოდი, მაგრამ მოსწავლეების სიყვარულმა და ადგილობრივი მოსახლეობის გვერდში დგომამ ყველაფერი გადაწონა და დამაძლევინა. მუდმივად ვგრძნობ მათ სიყვარულსა და პატივისცემას. ვფიქრობ, გამიმართლა და საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდი...“

ია ელიაშვილი, მარტვილის რაიონის სოფელი აბუდათი:

„ავისრულე ჩემი ბავშვობის ოცნება – გავმხდარიყავი მასწავლებელი და მეკეთებინა ეს ძალზე შრომატევადი და ფაქიზი საქმე, რასაც მომავალი თაობის სწავლა-აღზრდა ჰქვია. პროექტმა ძირეულად შეცვალა ჩემი ცხოვრება და დღეს შემიძლია თამამად განვაცხადო: მე ვიპოვე საკუთარი თავი მასწავლებლობაში. ეს ჩემი პროფესიაა!“

დიანა გაღდადელიშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მესტიის რაიონის სოფელი იელი:

„2009 წლის 12 სექტემბერს დავდგი პირველად ფეხი სვანეთის მადლიან მიწაზე. იმ დღის შემდეგ შეიცვალა ჩემი ცხოვრება. ამ შესანიშნავი პროექტის წყალობით ვეზიარე სვანურ კულტურას. იმ ტრადიციების, ლეგენდებისა და ფასეულობების მეგზური გავხდი, რომელიც, სამწუხაროდ, ბარში აღარ არის. XXI საუკუნეში უშბის, თეთნულდის, ენგურის ბობოქარი ტალღების, სინგურის-ფერი ნისლისა და სვანური კულტურის „მორევში“ მოქცეული „XIX საუკუნის ცხოვრებით“ ვცხოვრობ და ვასწავლი თანამედროვე მეთოდებით. დავრწმუნდი, რომ მასწავლებლობა ისეთივე ხელოვნებაა, როგორც მხატვრობა, თეატრი, მუსიკა... თუმცა, ჩვენ, ამ შემთხვევაში, ვქმნით უფრო ღირებულ „პროდუქტს“, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალს განსაზღვრავს...“

ნინო გორგილაძე, მათემატიკის მასწავლებელი, წალკის რაიონის სოფელი ნეოხარაბა:

„მასწავლებლობა საუკეთესო პროფესიაა დედამიწაზე. პროექტი ბევრს ნიშნავს ჩემთვის. აქ ჩაეყარა საფუძველი ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობას, აქ დავიბადე, როგორც პედაგოგი და ვიზრდები, როგორც პროფესიონალი. ჩემი მოსწავლეების ნდობით, სიყვარულით, სითბოთი სავსე თვალები ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარია...“

პროექტის პრეზენტაცია

1 ექსპერიმენტულ სკოლაში, „სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტის“ მიერ განხორციელებული პროექტის „AD/HD – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომით გამოწვეული პრობლემების შემცირება სკოლაში“ პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას დაესწრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე**, პროექტის ავტორები, მხარდამჭერები და პროექტში ჩართული პედაგოგები და მშობლები.

პროექტი „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის“ მხარდაჭერითა და ფინანსური თანადგომით განხორციელდა. პროექტი თავისი შინაარსით იყო საპილოტო, მიზნად ისახავდა დაწყებით კლასებში AD/HD სინდრომის მიერ წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

პროექტის ფარგლებში გამოვლინდა AD/HD სინდრომის მქონე 38 მოსწავლე (6-9 წლის).

ტრენინგები აღნიშნულ სინდრომთან მუშაობის შესახებ 53 მასწავლებელს ჩაუტარდა. გარდა ამისა, ხდებოდა მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა, სადაც ფსიქოლოგები 27 დამრიგებელთან ერთად აკვირდებოდნენ შედეგებს.

პროექტის ფარგლებში მომზადდა ანგარიში, რომელიც პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მოიცავს რეკომენდაციებს აღნიშნულ სინდრომთან მუშაობის გაგრძელებისა და ეფექტურობის გაზრდის მიმართულებით.

პროექტი თავისი მნიშვნელობით იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მომავალშიც იგეგმება მსგავს პროქტებზე მუშაობა რამდენიმე მიმართულებით.

MES-EXPERT

ფინანსური/იურიდიული მომსახურება

საკონსულტაციო ჯგუფის MES-EXPERT ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო სკოლების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული მომსახურება:

- ფინანსური/იურიდიული საქმიანობის ანალიზი;
- საკონსულტაციო მომსახურება;
- ურთიერთობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან;
- იურიდიული მომსახურება;
- აუდიტი;
- ქონების შეფასება და სხვ.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ.: 8(99) 92 25 95, 8(99) 30 52 55 E-mail: mes_expert@yahoo.com

საგანმანათლებლო კერა

ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის N2 საჯარო სკოლა

1880 წელს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მცდელობით, ქუთაისში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, რომელიც 1905 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. 1901 წლიდან მას სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ივანეს ძე ოცხელი. მის სახელთანაა დაკავშირებული გიმნაზიისთვის შენობის აგების იდეა. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის, დ. ნიჟარაძისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის, კ. ლორთქიფანიძის დახმარებით შესყიდულ იქნა მიწის მოზრდილი ნაკვეთი, სადაც აშენდა შესანიშნავი შენობა გიმნაზიისათვის.1913 წლის 21 თებერვალს შენობა საზეიმოდ გაიხსნა და მასში ფუნქციონირება განაგრძო ქართულმა გიმნაზიამ.

რუსეთის იმპერიული რეჟიმის დროს გიმნაზია ეროვნული მიმართულებით წარმართავდა იმდროინდელ ახალგაზრდობას. იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე და სხვა პედაგოგები აქტიურად იბრძოდნენ მოსწავლეებში ეროვნული იდეალების დამკვიდრებისთვის. ამიტომ იყო, რომ გიმნაზიის აღმზრდელები და აღსაზრდელები იცავდნენ ქართველი ერის ღირსებას. გიმნაზიის მოსწავლის, კონსტანტინე გამსახურდიას თაოსნობით მე-20 საუკუნის 10-იან წლებში გიმნაზიაში შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცხრა მუხა“, რომელშიც ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდები იყვნენ გაერთიანებული.

გიმნაზიის პედაგოგებმა დიდი როლი შეასრულეს ეროვნული სკოლისათვის სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში. იოსებ ოცხელის ინიციატივით შექმნილ გამომცემლობა „განათლებაში“ დაიბეჭდა სილოვან ხუნდაძის „ქართული ქრესტომათია“, „ქართული ენის გრამატიკა“, დიმიტრი უზნაძის „ძველი საბერძნეთი“, „ძველი რომი“, იოსებ ოცხელის „არითმეტიკა“ და სხვ.

მე-20 საუკუნის დასაწყისში სკოლას სტუმრობდნენ ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, მოგვიანებით – კონსტანტინე გამსახურდია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გიმნაზიის სტატუსი რამდენჯერმე შეიცვალა. 1954 წლიდან მას ეწოდა აკაკი წერეთლის სახელობის მე-2 საშუალო სკოლა, 1995 წლიდან დაიბრუნა პირვანდელი სახელი – ეროვნული გიმნაზია, 2007 წლიდან კი ეწოდა იოსებ ოცხელის სახელობის ქუთაისის №2 საჯარო სკოლა.

სასწავლებელი ყოველთვის ითვლებოდა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერად. 1960 წელს გიმნაზიის დაარსებიდან 80 წელი საზეიმოდ აღინიშნა. ამ პერიოდში სკოლას ხელმძღვანელობდა ცნობილი პედაგოგი ილია გენძეხაძე. ზეიმის დღეებში გიმნაზიის აღზრდილებმა სკოლის ეზოში დადგეს იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის ძეგლები (არქიტ. ტ. სიხარულიძე), მათი ნეშთი გადაასვენეს ქუთაისის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

1980 წელს, სკოლის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ჩატარდა შენობის კაპიტალური რემონტი, აშენდა სპორტული დარბაზი. მაშინ სასწავლებელს ხელმძღვანელობდა ღვაწლმოსილი პედაგოგი ალიოშა სანდუხაძე, რომელიც 21 წლის განმავლობაში სკოლის მრავალი წარმატების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო.

სასწავლებლის დაარსების დღიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ მაღალი ინტელექტის მქონე პედაგოგები: იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე წერეთელი, გიორგი ახვლედიანი, ჯაჯუ ჯორჯიკია, ია ეკალაძე, ევგენი მიქელაძე და სხვ. მათი ღვაწლით აღიზარდნენ გამოჩენილი ადამიანები: არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ვიქტორ ნოზაძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე, უშანგი ობოლაძე, აკაკი ფაღავა, ვარლამ თოფურია, ტრიფონ. ხუნდაძე, სერგო კლდიაშვილი, ლადო ასათიანი, აკაკ ვასაძე, ნიკოლოზ შენგელაია, დია ჩიანელი...

სკოლა ამაყობს თავისი აღზრდილებით, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას და სასახელოდ აგრძელებენ 130 წლის სასწავლებლის მდიდარ ტრადიციებს.

სკოლის ბიბლიოთეკა, რომელიც 1884 წელს სილოვან ხუნდაძემ დაარსა, ერთ-ერთი უძველესია ქუთაისში. ბიბლიოთეკას აქვს მდიდარი წიგნადი ფონდი, მათ შორის 300-მდე წიგნი მე-19 საუკუნის 60-90-იან წლებშია დაბეჭდილი რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ლათინურ ენებზე.

დიდი ეროვნული ტრადიციების მქონე ამ სასწავლებლის შესახებ ბევრი დაწერილა, თავის დროზე მას გამოკვლევები მიუძღვნეს წიგნებში: ტრ. ხუნდაძემ („ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან“, თბ. 1965წ.); ი. გენძეხაძემ („ი. ოცხელი“, 1989წ.); ა. სანდუხაძე, მ. თევდორაძე („ქართული სულის ასწლოვანი ხმოვანება“, ქუთ. 2001წ.).

ქუთაისის N21 საჯარო სკოლა

ქუთაისის №21 საჯარო სკოლას მეტად საინტერესო ისტორია აქვს, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს.

1914 წელს სახელმწიფო სათათბირო საბჭოში დამტკიცდა კანონი – მცირე ეროვნებისათვის კერძო სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლის ნებართვის შესახებ. ეს ქართველებისათვის 100 წლის აუხდენელი ოცნება იყო. ქუთაისში მცხოვრებმა საზოგადო მოღვაწეებმა და პედაგოგებმა შექმნეს საზოგადოება „სინათლე“, რომლის საზრუნავ საგანსაც ქართული სკოლის დაარსება წარმოადგენდა. საზოგადოების დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე დადგინდა სასწავლებლის გახსნა, შეადგინეს წესდებაც. 1915 წლის 14 სექტემბერს, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საზოგადოება „სინათლის“ ქალთა კერძო სასწავლებელი, რომლის ხელმძღვანელად მოიწვიეს პედაგოგიურ საკითხებში თეორიულად საკმაოდ კარგად მომზადებული ახალგაზრდა მასწავლებელი, დიმიტრი უზნაძე.

1916 წლის 6 თებერვალს „სინათლის“ საზოგადოების გამგეობის საგანგებო კრებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა კიტა აბაშიძე, მოისმინა და დაამტკიცა მოხსენება სკოლის დაარსების, გამგეობის მოღვაწეობის, სკოლაში მიღებული სწავლა-აღზრდის მეთოდისა და სკოლისთვის შესაფერისი შენობის მიღების თაობაზე, თუმცა, ეს უკანასკნელი მაშინ ვერ მოხერხდა. „სინათლის“ სკოლა პირველი ქართული სკოლა იყო, სადაც ქართულ ენაზე სწავლის ოცნება რეალურად განხორციელდა.

თავდაპირველად გაიხსნა ორი მოსამზადებელი განყოფილება. ქართული ენიდან საანბანო განყოფილებაში გაიარეს მხოლოდ დედაენის მეორე ნაწილი, 35 გვერდამდე. მოწაფეთა რიცხვი დასაწყისში 15 ყოფილა. ყველა განყოფილებას თითო მასწავლებელი ჰყოლია. ამ ახალი სასწავლებლის გახსნას ყველა სიამოვნებით შეგებებია. იმედი ჰქონდათ, რომ ეს სასწავლებელი მართლაც სინათლეს შეიტანდა ქუთაისელთა ცხოვრებაში. ყველაზე მეტად ის უხაროდათ, რომ სწავლება დედაენის საშუალებით წარიმართებოდა. თუმცა საზოგადოებას ესმოდა, რომ მარტო ქართული ენა არ იკმარებდა, ამიტომ საანბანო ჯგუფში რუსული ენაც შემოუღიათ, „რის გამოც დათვურ სამსახურს უწევდნენ სკოლას და შედეგიც ასეთივე მიუღიათ.“ /გაზეთი „სამშობლო“,1916, №280/

1917 წლის რევოლუციამ გააუქმა ძველი სკოლა და დაიწყო სასწავლო-რეფორმისტული მოძრაობა: სკოლა სხვადასხვა დროს იწოდებოდა მე-5 საფაბრიკო-საქარხნო ქალ-ვაჟთა, ქალთა მე-8, მე-13 არასრულ და 21-ე საშუალო, მე-2 დაწყებით სკოლად. სკოლას სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ დირექტორები: დიმიტრი უზნაძე, დ. ქუთათელაძე, ე. იმნაძე, ვ. ტყებუჩავა, ტ. შუბლაძე, კ. ფანცულია, მ. კუჭუხიძე, რ. ჯინჯოლია, მ. ფხაკაძე, ა. გაჩეჩილაძე, ქ. ნადირაძე, ზ. ხმელიძე.

21-ე საშუალო სკოლის შენობა ქეთევან ნადირაძის დირექტორობისას აშენდა, 1965 წელს. სკოლას მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით საუკეთესო და მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდა. ქალბატონი ქეთევან ნადირაძის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა მოსწავლეთა თეორიულ-ტექნიკური კონფერენციების ჩატარებას. ქალბატონი ქეთევანი მრავალჯერ იყო არჩეული ადგილობრივი, საქალაქო, თუ რესპუბლიკური უმაღლესი ორგანოს დეპუტატად. ხშირად იბეჭდებოდა მისი სტატიები პედაგოგიურ გაზეთებსა და ჟურნალებში.

1995 წლის 25 ივნისს, მერიის 322-ე განკარგულებით, მე-2 და 21-ე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების ბაზაზე შეიქმნა მე-2 დაწყებითი სკოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამ კოლექტივების მიერ არჩეული დირექტორი, ქალბატონი ციალა ჯაფარიძე. დირექტორის მოადგილედ მოიწვიეს „ქუთაისელი პედაგოგების მახვში“ – ბატონი დავით ქომეთიანი. ქალბატონი ციალა დაჯილდოებული იყო უფროსი მასწავლებლის წოდებით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მასწავლებელ-მეთოდისტის სამკერდე ნიშნით, სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით, გოგებაშვილის სახელობის საიუბილეო მედლით. იყო ქალთა საბჭოსა და საზოგადოება „ქუთაისელის“ დარბაზის საპატიო წევრი. მისი დირექტორობის დროს სკოლაში ფუნქციონერებდა სიმღერის გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ლოტბარი – ს. ვეფხვაძე, ქორეოგრაფიული სტუდია, მ. ჩიქვილაძისა და გ. პატარიძის ხელმძღვანელობით.

სკოლაში პედაგოგიური საქმიანობის ჰუმანურ-დემოკრატიული სტილია დამკვიდრებული. მხარს უჭერს და ავითარებს პედაგოგთა და მშობელთა ინიციატივას, სკოლის მართვაში მონაწილეობას. მათი აქტიურობით გადაწყდა სასწავლო თუ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა. განხორციელდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, ღია სპორტული მოედნის აღდგენა-მოწყობა პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „გიორგი ნიკოლაძე“ – სპორტული მოედნების რეაბილიტაციის დაფინანსების ფარგლებში.

სკოლის მუშაობას საფუძვლად დაედო ეროვნული სასწავლო გეგმები და მიზნები, რომელიც მასწავლებელს სთავაზობს მრავალმხრივ და საინტერესო საქმიანობას სწავლისა და სწავლების შედეგიანობის ამაღლებისათვის.

გაიზარდა სწავლების თავისუფლების ხარისხი. ტარდება სიახლეებზე გათვლილი გაკვეთილები. პრიორიტეტებად არის მიჩნეული: სწავლების მაღალი ხარისხი, მოსწავლეთა აზროვნების აქტივიზაცია, ცოდნის დამოუკიდებლად მოძიება და მართვად პროცესად გადაქცევა, ურთიერთობის უნარის ფორმირება. ხარისხის ეფექტურად ასამაღლებლად იზრდება სხვადასხვა რესურსების გამოყენების არეალი. ხდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო პროცესში, ინტერნეტ ქსელის გამოყენება.

პედაგოგები მიმართავენ პროფესიის რეგულირებას, მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას, ახლებური სწავლების პრინციპების ათვისებითა და პოპულარიზაციით წარმოაჩენენ ინოვაციების მიმართ დადებით განწყობას.

სკოლის დირექცია, პედაგოგიური საბჭო და კათედრები ეხმარებიან მასწავლებლებს პროფესიული განვითარების სასარგებლო ღონისძიებების ორგანიზებაში. იძიებენ, რა გზით, რა მეთოდებით წარმართონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, რომ წარმატებით მიაღწიონ მიზანს.

სკოლის მუშაობის დონისა და შედეგიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კავშირებს სამეცნიერო, შემოქმედებით დაწესებულებებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან.

ხდება კონსტრუქციული თანამშრომლობა მშობლებთან, მონაწილეობას ღებულობენ მათი შვილების მიღწევების გაუმჯობესებისათვის მიმართული ღონისძიებების დანერგვაში.

მოსწავლეთა თვითმმართველობები ზრდიან სწრაფვას საზოგადოებრივი აქტივობის გასავითარებლად, წლის განმავლობაში ჯეროვნად იყვნენ ჩართული სასწავლო, კულტურულ, სამეურნეო საქმიანობაში.

მოსწავლეთა ცოდნის ქმედითობის ამაღლების, ინტელექტუალური განვითარების, შემოქმედებითი პოტენციალის, აზროვნების უნარისა და ჩვევების განმტკიცების, სიძნელეების გადალახვის და ორგანიზებულობის გამომუშავების მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს წრეები, კლუბები, სპორტული სექციები, გახსნილია ქორეოგრაფიული წრე ნიჭიერი ბავშვების მხატვრული სრულყოფისათვის. ეწყობა შემეცნებითი და შემოქმედებითი ტიპის ღონისძიებები. გაიზარდა პროექტებსა და პროგრამებში, დათვალიერებებში, გამოფენებში, კონკურსებში, კონფერენციებში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი.

მაღალი შედეგით აღინიშნა მოსწავლეთა მონაწილეობა 62-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის ოცი ნიჭიერი და შემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესებული მოსწავლე დაჯილდოდა I და II ხარისხის დიპლომებით.

სკოლაში ბევრია ისეთი მოსწავლე, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული მახასიათებლები: მუსიკალური, ქორეოგრაფიული, სახელოვნებო, სპორტული... აღსანიშნავია მასობრივი ლტოლვა ფიზიკური აღზრდისადმი.

ეწყობა ექსკურსიები ქართული კულტურის პროპაგანდის მიზნით სხვადასხვა თემატიკის გათვალისწინებით. მყარდება უშუალო და ქმედითი კავშირები სწავლებასა და ცხოვრებას შორის. იქმნება ფოტო და ვიდეომასალები. მზადდება რეპორტაჟები.

დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას სკოლა კვლავაც უშურველად გამოიყენებს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

გვერდი მოამზადა
მარინე უკლეგამ

მასწავლებელთა სერტიფიცირება

მასწავლებელთა მოსაზრებები საგამოცდო ტესტების აპრობაციის შემდეგ

მარინე უკლება

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების აუცილებლობამ ერთგვარი „გაუგებრობა“ და აზრთა გაორება გამოიწვია. თუ რეალობას თვალს გავუსწორებთ, მასწავლებელთა უმცირესობა საჭიროდ მიიჩნევს ტესტირების გავლას, მაგრამ მოითხოვენ საგამოცდო საკითხების დაკონკრეტებასა და მეცადინეობისათვის ხანგრძლივ პერიოდს (არადა, უკვე ორი წელია, პროგრამები და შესაბამისი ლიტერატურა გამოცემულია!!!). პედაგოგთა უმრავლესობა კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება გამოცდებზე გასვლასა და ეჭვის თვალით უყურებს მის შედეგებს. ალბათ, ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ საგამოცდო საკითხების ზუსტი ნუსხის გამოქვეყნება ე.წ. დაზეპირების წყაროა და განსაკუთრებით გამორიცხულია პროფესიულ უნარებში, რომლის ტესტი იმ ბუნებრივ ნიჭს, ტაქტსა და გამოცდილებას მოითხოვს, რაც თითოეულ პედაგოგში უნდა იყოს.

თქვენს გაზეთში ხშირად იბეჭდება და საზოგადოებაშიც მოარული აზრია, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ვაუჩერის შესაბამისად ტრენინგ-სემინარების მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. ამჟამად ყურადღება მინდა გავამახვილო იმ მასწავლებელთა მოსაზრებებზე, რომლებმაც იმერეთის რეგიონში, კერძოდ, ქუთაისში გაიარეს ტესტის აპრობაცია პირადად მე, უკვე ორი წელია, ინტენსიურად ვმეცადინეობ გამოცდებისათვის და მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვირით ადრე მივმართე რესურსცენტრს, (სამწუხაროდ, აპრობაციაზე არ დამიშვეს), ეს პედაგოგები განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამენ საგანმანათლებლო ცენტრ „ლიბოს“ მიერ განხორციელებულ პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებდა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლების თეორიების გამოყენებას სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად. მათ თითქმის ერთხმად აღიარეს, რომ აპრობაციის ტესტების ამოხსნისას ძალიან გამოადგათ ამ ტრენინგზე მიღებული ცოდნა, ამიტომაც დიდ მადლობას უხდიან ცენტრის ხელმძღვანელებსა და ფსიქოლოგებს: **თამარ მიდელაშვილს, ლელა ტყეშელაშვილს, ნანა კერატიშვილს, ქეთევან ფხალაძესა** და **ლიკა ცირეკიძეს**.

გთავაზობთ პედაგოგთა ერთი ნაწილის მოსაზრებებს:

ელენე ულენტი, ქუთაისის №33 საჯარო სკოლის პედაგოგი: გავიარე სასერტიფიკაციო გამოცდების ე.წ. გენერალური რეპეტიცია. განსაკუთრებით თავისუფლად ვიგრძენი თავი პროფესიული უნარების ტესტზე მუშაობისას, რადგან საგანმანათლებლო ცენტრ „ლიბო მნტ“-ში გავლილი ტრენინგის წყალობით ამომწურავი პასუხები გავეცი კითხვებს, რომლებიც სწავლებისა და განვითარების თეორიების შეგნებულ ცოდნას მოითხოვდა.

მთვარისა კიკვაძე, ქუთაისის №38 სკოლის პედაგოგი: გავიარე „ლიბო მნტ“-ს მიერ ჩატარებული ტრენინგი (ტრენერი – ლელა ტყეშელაშვილი) პროფესიულ უნარ-ჩვევებში – „სწავლებისა და განვითარების თეორიები და მოსწავლეთა მოტივაცია“. ძალიან კმაყოფილი ვარ. აქ მიღებული ცოდნა გამომადგა პრაქტიკულ საქმიანობაში, გაკვეთილების ჩატარების დროს და ასევე მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების აპრობაციის დროს პროფესიულ უნარ-ჩვევებში. ვფიქრობ, დავალებებს სწორად ვუპასუხე.

დიდი მადლობა ამისათვის.

რუსუდან ბაბუნაშვილი, ქუთაისის №38 საჯარო სკოლის პედაგოგი: მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების აპრობაციის დროს პროფესიული უნარ-ჩვევების ტესტის ძირითადი ნაწილი შეიცავდა იმ საკითხებს, რომლებიც შესწავლილი და პრაქტიკულად დამუშავებული გვქონდა „ლიბო მნტ“-ს მიერ ჩატარებულ ტრენინგ-სემინარებზე (ტრენერი – ქეთევან ფხალაძე). აქედან გამომდინარე, უნდა აღვნიშნო, რომ ამ ორგანიზაციის პროგრამა ნამდვილად შეესაბამება საგამოცდო საკითხების მოთხოვნებს, რის გამოც დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამ და ვურჩევ ჩემს კოლეგებს, მიმართონ აღნიშნულ ორგანიზაციას.

გულნაზი ცეცხლაძე, ქუთაისის №37 საჯარო სკოლის პედაგოგი: თქვენს გაზეთში (18-24 თებერვალი, 2010 წელი)გამოქვეყნებული სტატიიდან „პედაგოგების სერტიფიცირების შესახებ“ გამომდინარე, ყურადღება მინდა გავამახვილო პედაგოგ ფატი ფირუაშვილის სიტყვებზე: „მართალია, არაკორექტულია ამის თქმა, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ მაინცდამაინც არ მაქვს ასეთი წარმოდგენა, რომ აქედან რაღაცას ღირებულს მივიღებდი... ტრენერს პირად საუბარში ვკითხე, თუ როგორ გამოვიყენოთ ეს პრაქტიკაში. გვიპასუხა, რომ ეს პრაქტიკაში ასე არ ხდება, ანუ იმ ტრენინგს ფორმალური ხასიათი ჰქონდა“. თუმცა, აქ მითითებული არ არის ასეთი ფორმალური ტრენინგი რომელმა ორგანიზაციამ ჩაატარა, მაგრამ ნამდვილად აღმეძრა სურვილი, გამომეთქვა ჩემი და ჩემი კოლეგების უდიდესი კმაყოფილება, საგანმანათლებლო ცენტრ „ლიბოში“ (დირექტორი – ქალბატონი თამარ მიდელაშვილი) გავლილი ტრენინგის შესახებ.

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების წინა პერიოდი აზრთა სხვადასხვაობით გამოირჩევა. განსაკუთრებით რთული მეგონა პროფესიული უნარების კურსი, რადგან არასწორი ინფორმაცია ვრცელდებოდა, თითქოს ეს ტესტები მოითხოვდა მათემატიკის საფუძვლიან ცოდნას, მაგრამ საგანმანათლებლო ცენტრ „ლიბოში“ გავლილმა ტრენინგმა დამარწმუნა, რომ ეს გამოცდა მხოლოდ პედაგოგიურ უნარს და ფსიქოლოგიური თეორიების კარგად ცოდნას მოითხოვს. ასე რომ, ტრენინგი არა მარტო სიახლეების გაცნობის, არამედ პედაგოგიური რწმენის გაღვივების პროცესიც იყო. გარდა ამისა, მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნო, რომ ამ ორგანიზაციამ საჩუქრად გადმოგვცა სასწავლო პროგრამისათვის საჭირო რესურსების სრული პაკეტი: ლექსიკონი, ტესტები, ინტერაქტიური მეთოდებისა და სიტუაციური ამოცანების კრებულები, პორტფოლიო, რისთვისაც იმერეთის მსმენელ-პედაგოგთა სახელით დიდ მადლობას ვუხდით ორგანიზაციის ხელმძღვანელ ქალბატონებს: თამარ მიდელაშვილსა და მანანა ბოჭორიშვილს.

ნანული ჟორჟოლიანი, ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის №2 საჯარო სკოლა: განათლების რეფორმა რომ აუცილებელია, სადავო საკითხი როდია, მაგრამ მასწავლებელთა შეშფოთებას იწვევდა საკითხთა ერთობლიობა, რომლებიც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიურ დაკვირვებათა გათვალისწინებას გულისხმობდა. ჩვენდა საბედნიეროდ, საგანმანათლებლო ცენტრმა „ლიბო“ შემოგვთავაზა თეორიათა ის ჩამონათვალი, რომლებიც ჩვენს „გაჭირვებას“ უშველიდა. საგნებს უძღვებოდნენ მაღალი დონის სპეციალისტები, რომლებიც პოპულარულ ენაზე, ჩვენთვის სწავლების გასაიოლებლად, გვიკითხავდნენ ლექციებს, სწავლების პროცესი მეტად შედეგიანი აღმოჩნდა. სამადლობელი სიტყვებით გვინდა მოვიხსენიოთ ცენტრის მთელი შემადგენლობა, განსაკუთრებით ქალბატონები: თამარ მიდელაშვილი, მანანა ბოჭორიშვილი და იმერეთის რეგიონის კოორდინატორი მარინე უკლება.

ლეილა კვანტალიანი, ქუთაისის №10 საჯარო სკოლის პედაგოგი: საგანმანათლებლო ცენტრ „ლიბოში“ გავლილი ტრენინგის ერთ განსაკუთრებულ ნიუანსზე მინდა ყურადღება გავამახვილო. თეორიული კურსის შემდეგ ჩატარებული ტესტირების ანალიზი მოიცავდა იმ ხარვეზებისა და ტერმინთა ახსნა-განმარტებას გაცილებით დეტალურად, ვიდრე ლექციის პროცესი. ამიტომაც ეს ტრენინგი ნამდვილად იყო პრაქტიკული ხასიათის და, რაც მთავარია, პედაგოგებისათვის სიახლეების გაცნობისა და ინოვაციური მეთოდების სწავლებაში გამოყენების ორიენტირი.

Учителя русского языка Кутаисской №41 публичной школы: Летом 2010 года преподавателям нескольких дисциплин предстоят экзамены по специальности и профессиональным способностям. Государство финансирует тренинги. Свои услуги прдложили разные организации, но мы, восемь учителей русского языка Кутаисской №41 публичной школы, остановили свой выбор на «Либо MNT», координатором которой является Уклеба Марина, а тренером – Ткешелашвили Лела.

Первая встреча, первые занятия и первые вопросы заданные тренером:

Что Вы ждёте от тренингов?

Чего бы Вам хотелось узнать и получить от них?

Это как раз те вопросы, которые мы не раз задавали себе. идя на тренинги.

Интересно было узнать, какой метод выберет тренер, чтобы заинтересовать и увлечь тех, за плечами которых не один десяток лет педагогического стажа; тех, которые честно, добросовестно и мужественно несли свою вахту на посту, несмотря ни на какие трудности; тех, которые без сожаления отдали лучшие годы своей жизни не только обучению целого ряда предметов, но и развитию способностей, внимания и памяти учащихся, учили их чему и как учиться; тех, которые отдавали «сердце детям» без остатка и щедро.

Но были приятно «удивлены», когда действительность превзошла ожидания. Высокий профессионализм, глубокое понимание психологического настроя слушателей и доброжелательная атмосфера обеспечили усвоение предоставленного нам, не такого уж и легкого, материала. В этом увлекательном процессе и тренеры и слушатели стали полноправными сотрудниками. На занятиях неоднократно были обсуждены вопросы и проблемы теорий педагогики и психологии, связанные с именами всемирноизвестных ученых, таких, как Гарднера и Блума, Пиаже и Бруннера, Узнадзе и Маслоу.

Этот треннинг, несмотря на свою краткосрочность, оставил на нас неизгладимое впечатление и мы с глубоким чувсвом уважения и благодарности простились с Ткешелашвили Лелой и Уклеба Мариной.

მოსაზრება

ისტორიის თარიღებთან დაკავშირებით

მინდა ჩემი მოსაზრება გამოვთქვა სასკოლო სახელმძღვანელობში მითითებულ თარიღებთან დაკავშირებით. სხვადასხვა სახელმძღვანელოში თარიღები სხვადასხვაგვარადაა მითითებული, რაც აბიტურიენტებში იწვევს გაურკვევლობას. მათთვის გაუგებარია, რომელი თარიღი უნდა მიუთითონ გამოცდის დროს, რომ შეცდომა არ დაუშვან.

მაგალითად:

VI კლასის სახელმძღვანელოში „ძველი მსოფლიო ისტორია“ (ავტორები: ქეთევან თვალიაშვილი, ცირა ჩიკვაიძე, გიორგი ასანიძე), ასურეთის წარმოშობასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ ***„ქრისტეშობამდე III ათასწლეულის მეორე ნახევარში მდინარე ტიგროსის შუა წელი ახლად მოსული სემიტური ტომების ხელში გადავიდა“.***

ხოლო XI კლასის სახელმძღვანელოში (ავტორები: ნოდარ ასათიანი, ნინო კიღურაძე, გიორგი სანიკიძე, ლალი ფირცხალავა) აღნიშნულია, რომ **„ასურეთის სამეფო ჩრდილო მესოპოტამიაში, მდინარე ტიგროსის შუა წელზე ქრისტეშობამდე II ათასწლეულიდან არსებობდა“.**

იმავე XI კლასის სახელმძღვანგელოში დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის კრება მოიწვია 1105 წელს. აქამდე ვიცოდით 1103 წელი.

თამარ მეფის დროს ბასიანის ბრძოლა მითითებული იყო 1202 წელს, XI კლასის სახელმძღვანელოში ბასიანის ბრძოლა 1205 წლითაა დათარიღებული. შემდეგ, პარაგრაფის ბოლოში მითითებულია 1205, 1203, 1204. ბოლოს და ბოლოს რომელი თარიღი უნდა მიუთითოს გამოცდის დროს აბიტურიენტმა, რომ შეცდომა არ დაუშვას? მით უმეტეს, რომ სახელმძღვანელოებში ასეთი უამრავი მაგალითი მოიძებნება. ხომ შეიძლება საბოლოოდ დადგინდეს თარიღები, რათა არ დაიბნეს გამოცდაზე მისული აბიტურიენტი?

იქნებ მიაქციოს ყურადღება ვინმემ ამ საკითხს, რომ სხვადასხვა სახელმძღვანელოში არ იყოს მითითებული განსხვავებული თარიღები.

ლელა ჩიტორელიძე
ისტორიკოსი

ინფორმაცია

კონკურსი მწერლის შემოქმედებას ეძღვნება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა მასპინძლობა გაუწია კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის სამსახურს – რესურსცენტრის საქტო დარბაზში შედგა საგანმანათლებლო პროექტ-კონკურსში – „ჩვენ და ეგნატე ნინოშვილი” გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება. კონკურსი ეგნატე ნინოშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრმა გამოაცხადა, რომელიც IX-XII კლასის მოსწავლეებისათვის იყო განკუთვნილი. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, უფრო პატარებსაც გამოუთქვამთ მონაწილეობის სურვილი, და არც თუ უშედეგოდ, ზოგიერთი კონკურსის გამარჯვებულიც გახდა.

კონკურსის პირველ ეტაპში 100-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, საიდანაც 24 გამარჯვებული გამოვლინდა. პირველ ადგილზე გავიდა 12, მეორეზე – 8 და მესამეზე 4 მოსწავლე.

კონკურსში ყველაზე მეტი გამარჯვებული სუფსის და მესამე სჯარო სკოლებს ჰყავდათ – 6, მათ ნიგვზიანი მოსდევდა – 4, ნინოშვილსა და ჩიბათს – 2-2, წყალწმინდის, მამათის, ღესის და პირველი საჯარო სკოლიდან თითო მოსწავლის ნაშრომი აღინიშნა.

დაჯილდოებას გამარჯვებული მოსწავლეების გარდა, მათი გულშემატკივარი პედაგოგებიც ესწრებოდნენ. გამარჯვებულებს საჩუქრები გადასცა კულტურული მემკვიდროებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორმა, ბატონმა ფირუზ გუჯაბიძემ და პროექტის მენეჯერმა, მაია ჯიმშელეიშვილმა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა პროექტის განხორციელებას.

საჩუქრების გადაცემა ახალი ტრადიციისამებრ მეორე და მესამე ადგილოსნების დაჯილდოებით დაიწყო, მათ უბის წიგნაკები ერგოთ, ხოლო პირველი ადგილის მფლობელებს ზოია ტულუშის წიგნები გადაეცათ – „მოგონებები ნინოშვილზე და გურული ლექსიკა”.

ფასიანი საჩუქრების გარდა, კონკურსში გამარჯვებულებს ფერადი სიგელები გადაეცათ. აღსანიშნავია, რომ სიგელებით დააჯილდოვეს, ოღონდ შავთეთრით, ყველა დანარჩენი მონაწილეც პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის.

პროექტების მენეჯერმა, მაია ჯიმშელეიშვილმა ბავშვებს მიულოცა გამარჯვება და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროექტი – „ჩვენ და ეგნატე ნინოშვილი” გრძელდება. მეორე ეტაპში მონაწილეობის მსურველები, თვის ბოლომდე უნდა დარეგისტრირდნენ.

გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოების პარალელურად შთაბეჭდილებებსაც გვიზიარებდნენ. მართალია ეგნატე ნინოშვილი სასწავლო პროგრამებში არ არის შეტანილი, მაგრამ მისი შემოქმედების არცოდნა გურულებს არ გვეპატიებაო, ამბობდნენ ისინი.

საუბრები ლიტერატურაზე

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან

ექსპრესიონიზმი

რუბრიკას უძღვება
ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ბელა წიფურია

ხელოვნების ისტორიაში შემონახული ერთი ანეკდოტი ასე მოგვითხრობს ტერმინ „ექსპრესიონიზმის“ დაბადების ამბავს: ხელოვნების ქმნილებათა ცნობილ კოლექციონერ, პაულ კასეირერს, ბერლინის „სეცესიონის“ სხდომაზე, 1910 წელს, პეხშტეინის სურათის ცქერისას უკითხავს: „ეს რაღაა, ესეც იმპრესიონიზმია?“ – „არა, ეს ექსპრესიონიზმია“ – მიუღია ანაზდად პასუხი: ასეა თუ ისე, სწორედ იმ ხანებში, საკუთრივ კი 1911 წელს ეს ტერმინი უკვე იკითხება გერმანული ჟურნალის, „შტურმის“ („გრიგალის“) ფურცლებზე. ჟურნალის გამომცემლის, ჰერვარდ ვალდენის მცდელობით, „შტურმი“ გერმანული ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი ბურჯი გახდა.

ლიტერატურისმცოდნეთა თუ ხელოვნებათმცოდნეთა ნაშრომებში ტერმინ „ექსპრესიონიზმის“ გახმიანების სხვა ვერსიებსაც შეხვდებით, მაგრამ უდავო ჭეშმარიტებად არის მიჩნეული ის ფაქტი, რომ ექსპრესიონიზმი, როგორც მოვლენა, დაუპირისპირდა იმპრესიონიზმს, როგორც იმ დროის ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას.

საზოგადოდ, როგორც იმპრესიონისტული, ისე ექსპრესიონისტული მსოფლაღქმის ტიპი მოდერნისტული მსოფლმხედველობის ფარგლებში ვითარდება. უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი ამ ორ მიმართულებას შორის სწორედ გარესამყაროსა და საკუთარი თავის აღქმის პერსპექტივაა. თუკი იმპრესიონიზმში პიროვნება საკუთარ თავს შეიცნობდა გარესამყაროდან მიღებულ შეგრძნებათა და შთაბეჭდილებათა მეშვეობით, ექსპრესიონიზმის ერთ-ერთ ამოსავალ პრინციპად ცხადდება სუბიექტის პიროვნულ განცდათა გამოხატვა და გარესამყაროს ზეგავლენის უგულებელყოფა. ეს კონტრასტი სრულიად ცხადად არის გამოვლენილი თავად ტერმინებში: „იმპრესიონ“ ფრანგულად შთაბეჭდილებას ნიშნავს და ეს მიმდინარეობაც შთაბეჭდილებათა ფიქსირებაზეა ორიენტირებული; „ექსპრესიონ“ კი გამოსახვას ნიშნავს და ექსპრესიონიზმიც მიზნად ისახავს, დააფიქსიროს არა გარესამყაროს ზეგავლენა პიროვნების სულიერ და ემოციურ სამყაროზე, არამედ ხელოვანის შინაგანი სამყაროს ზეგავლენა გარესამყაროზე. ექსპრესიონისტული აღქმა მართლაც კონცენტრირებულია პიროვნების ირგვლივ. სამყაროს ცენტრში დგას სუბიექტი, რომელიც ცდილობს, საკუთარი პიროვნული ნება გაიაზროს, როგორც ერთადერთი ფასეულობა, ერთადერთი ჭეშმარიტება. მაგრამ ხშირად ამგვარი პიროვნული თვითკონცენტრაცია ერთგვარ აგრესიასაც კი იწვევს გარესამყაროსადმი. საზოგადოდ ექსპრესიონიზმი უარყოფს ინდივიდისა და გარესამყაროს თანხმობის იმპრესიონისტულ პრინციპს, რამდენადაც ეს თანხმობა ამჯერად მხოლოდ ილუზიად აღიქმება. ამისდა საპირისპიროდ ექსპრესიონისტული მსოფლაღქმა ცდილობს, წარმოაჩინოს და გაიცნობიეროს ის დისჰარმონია, რომელსაც მოუცავს სამყარო. ექსპრესიონისტული ხელოვნება გამოხატავს პიროვნების პროტესტს დისჰარმონიული, არსდარღვეული სამყაროსადმი. ის ამძაფრებს სუბიექტურ აღქმას სწორედ იმდენად, რამდენადაც ინდივიდის თვალთახედვა არის ერთადერთი კრიტერიუმი გარესამყაროს შინაგან წინააღმდეგობათა აღსაქმელად და გასაცნობიერებლად. სწორედ ამიტომ ექსპრესიონისტულ ხელოვნებაშიც შესაგრძნობია ფორმათა დისპროპორცია (რეალური სამყაროს დეფორმაციის გამომსახველი) და მხატვრულ სახეთა კონტრასტულობა (სამყაროს წინააღმდეგობრიობის გამომსახველი).

ვასილი კანდინსკი, „კომპოზიცია“

ელზა ლასკერ-შულერი

ხელოვნების ქმნილებათა მეშვეობით შემოქმედი ცდილობს, ჩასწვდეს მოვლენათა სიღრმისეულ მნიშვნელობას, სამყაროს ფარულ არსს, რომელიც ძნელად აღსაქმელია ხილულ საგანთა მიღმა. ხელოვანი მიიჩნევს, რომ სამყაროს ჭეშმარიტ სახეს ჩვენგან ფარავს მატერიალური სამყაროს გაუცხოებული ზედაფენა, მაგრამ საგანთა ზედაპირი უკვე ვეღარ უძლებს სიღრმისეული არსის ქვეწოლას, ის სკდება, დეფორმირდება და ამ პროცესის განჭვრეტა ყველაზე უწინ სწორედ შემოქმედს შეუძლია. ამ გზით განჭვრეტს ექსპრესიონისტული ხელოვნება იმ ფაქტსაც, რომ სამყაროს შინაგანი წინააღმდეგობრიობა უცილობლად უნდა გამოვლინდეს გარეგნულ დაპირისპირებათა სახით. XX საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში შექმნილი ნაწარმოებები აღსავსეა კატასტროფის მოლოდინით, რაც რეალურ სამყაროში პირველი მსოფლიო ომის სახით გაცხადდა. მსოფლიო მასშტაბის ძვრები, ტრადიციულ თვალთახედვასთან დაპირისპირება, პიროვნების ამბოხი რეალობის, სოციალური წყობის, უსამართლობისა და ძალადობის წინააღმდეგ ექსპრესიონისტული ხელოვნების უმთავრეს თემებად იქცა. ამჯერად მხატვარი მიზნად ისახავს არა სოციალური პროცესების გამთლიანებული სურათის შექმნას, არამედ შინაგანი რღვევის გამომსახველი ცალკეული მომენტების აქცენტირებას. ამასთანავე, ამგვარი მომენტები ექსპრესიონისტულ ხელოვნებაში გაზვიადებული ფორმითა და მასშტაბით არის გამოსახული. სწორედ ამიტომ ჰიპერბოლიზაცია ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მხატვრული ხერხია. შემოქმედის შინაგანი მღელვარება, დაუოკებელი მისწრაფებანი, განცდათა ინტენსივობა გარესამყაროს რღვევის გამომსახველი ცალკეული ფორმების ფონზეა წარმოჩენილი. ამგვარი ფორმები თანდათანობით კარგავენ ყოველგვარ კონკრეტულობას. ისინი სულ უფრო და უფრო ნაკლებად გვაგონებენ რეალური სამყაროს საგნებს და გარდაისახებიან აბსტრაქტულ ფიგურებად; ვითარდება აბსტრაქციონიზმი, როგორც საგნობრივი, მატერიალური სამყაროსა და სუბიექტის შინაგანი სამყაროს შეუსაბამობის გამომსახველი მიმართულება XX საუკუნის ხელოვნებაში. აი, რას წერს ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი კონრად ფიდლერი: *„ხელოვანი კი არ ასახავს ან გარდასახავს სამყაროს, არამედ ქმნის საკუთარ და განსაკუთრებულ სამყაროს, სავსებით დამოუკიდებელს რეალური სამყაროსაგან“*. ამგვარი გამომსახველობისას ხელოვნების ქმნილებაში, შესაძლოა, კიდეც ამოიცნობოდეს ბუნების რეალური ფორმები, მაგრამ შემოქმედი მიზნად არ ისახავს ანალოგიათა დაფიქსირებას; მას სწორედ იმ ფაქტის წარმოჩენა სურს, რომ პიროვნების შინაგან სამყაროსა და გარესამყაროს შორის აღარც კი არსებობს ანალოგია, ისევე, როგორც აღარ არსებობს შინაგანი შესაბამისობა და ურთიერთაკავშირი მთელ სამყაროში. რამდენადაც მატერიალური სამყაროს კონკრეტულობა შემოქმედისათვის სრულიად გაუგებარ მოვლენად იქცევა, ხელოვნების ქმნილებაში ის მიმართავს აბსტრაქტულ ფორმებს, *„არა კონკრეტულობა, არამედ აბსტრაქტული წარმოდგენა; არა რეალობა, არამედ სული“*, – ასეთია ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი ლოზუნგი. ამგვარად იქცევა შემოქმედის მიზნად არა დაკვირვება ცხოვრებაზე, არამედ საკუთარი ხედვის გამძაფრება. და თუ ამ პროცესში გამოიკვეთება შეუსაბამობა, დისჰარმონია, ქაოსი, დისპროპორცია, ხელოვნების ქმნილება კიდევ უფრო გაამძაფრებს ამ მოვლენათა სურათს.

რასაკვირველია, ექსპრესიონისტული მიმდინარეობა კრიზისული ეპოქის მოვლენაა, მაგრამ აქ იგულისხმება არა საკუთრივ მხატვრული ფორმების ან ხელოვნების გამომსახველობითი ხერხების კრიზისი, არამედ ის ზოგადი სულიერი და ინტელექტუალური კრიზისი, რომლის წინაშეც დგას ევროპული სამყარო. თუკი XIX საუკუნის ბოლოს ეს კრიზისი ფრანგულ კულტურაში სიმბოლიზმის და იმპრესიონიზმის სახით გამოიხატა, XX საუკუნის გერმანულმა კულტურამ ექსპრესიონიზმის სახით განავითარა მოდერნისტული ეპოქის პრობლემატიკა. შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემები, სიმბოლიზმის მეშვეობით, უკვე ნაცნობი იყო ევროპული ხელოვნებისათვის, მაგრამ ექსპრესიონიზმმა კიდევ უფრო გაამძაფრა მათი აღქმა და საკუთარი გამომსახველობითი სისტემის მეშვეობით წარმოაჩინა პროტესტი პიროვნებისა, რომელსაც სურს საკუთარი ნებელობის, ინტელექტის, ინტუიციის, ინდივიდუალობის ძალით შეეწინააღმდეგოს გარესამყაროს რღვევასა და კრიზისს; რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ის სწორედ ამ გზით ცდილობს, დაძლიოს ან უგულებელყოს საკუთარ არსებაში ფესვგადგმული კრიზისი.

ექსპრესიონიზმმა, როგორც ხელოვნების მიმართულებამ, XX საუკუნის დასაწყისში მოიცვა გერმანული და ავსტრიული კულტურა, აგრეთვე ის ქვეყნები, რომლებიც მსოფლაღქმის ტიპით უახლოვდებოდნენ აღნიშნულ არეალს; უნგრეთი, რუმინეთი, ხორვატია, პოლონეთი, სკანდინავია. ჩაისახა რა პოეზიასა და მხატვრობაში, ექსპრესიონიზმი შეიჭრა ხელოვნების თითქმის ყველა სფეროში: იქმნებოდა დრამატურგია, თეატრი თუ კინოხელოვნება, მუსიკა თუ არქიტექტურა.

ექსპრესიონისტული პოეზიის წინამორბედად გერმანულ ლიტერატურაში გეორგ თრაქლი ცხადდება. მის კვალდაკვალ ექსპრესიონისტული მსოფლაღქმა და მგრძნობელობა მუშავდება გეორგ ჰეიმის, ფრანც ვერფელის, ერნსტ შტადლერის, ალბერტ ერენშტეინის, ელზა ლასკერ-შულერის პოეზიაში. გერმანული ლიტერატურული ჟურნალები „შტურმი“ („გრიგალი“) და „აქციონი“ („ქმედება“) XX საუკუნის ათიან და ოციან წლებში თანამიმდევრულად ეწეოდნენ ექსპრესიონისტული თეორიისა და პრაქტიკის პოპულარიზაციას. 1914 წელს დაიწერა პირველი ექსპრესიონისტული დრამა, ჰაიზენკლერის „ვაჟიშვილი“, თეატრსა და დრამატურგიაში ეს მიმართულება აღინიშნა მოქმედების სიმძაფრითა და ბიძგისებრი, არათანამიმდევრული განვითარებით, მასშტაბურობით, გმირისა და მასის დაპირისპირების

საუბრები ლიტერატურაზე

მარადიული თემის გამძაფრებით. იოჰანეს ბეხერი, გოტფრიდ ბენი, პაულ ცეხი, კურტ ადლერი, ერნსტ ტოლერი ქმნიან XX საუკუნის დრამატურგიის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს. პროზაში – რომანსა და ნოველაში – ექსპრესიონისტული სტილი გამოვლინდა ავტორისეული მონოლოგის ტექნიკაში, მსოფლმხედველობრივ პრობლემათა აქცენტირებაში. ამ სტილურ ნიშნებს განიხილავენ იმგვარი დიდი პროზაიკოსების შემოქმედებაში, როგორებიც არიან ფრანც კაფკა და ჰერმან ჰესსე.

XX საუკუნის დასაწყისის გერმანელ მხატვართა დაჯგუფებანი „ხიდი“ (დრეზდენი, 1905წ.) და „ცისფერი მხედარი“ (მიუნხენი, 1911 წ.) განავითარებენ პოლ გოგენის, ვინსენტ ვან გოგის, ედუარდ მუნკის შემოქმედებაში ჩასახულ ტენდენციებს. ე. ლ. კირხნერი, მ. პეხშტეინი, ე. ხეკელი, ვ. კანდინსკი, ფ. მარკი აყალიბებენ სახვითი ხელოვნების ახალ მიმართულებას. 1916 წელს ვასილ კანდინსკი ქმნის პირველ აბსტრაქტულ კომპოზიციას.

ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში, გ. მალერისა და რ. შტრაუსის მუსიკალურ ქმნილებებში აღინიშნა ექსპრესიონისტულ ტენდენციათა მოზღვავება, მაგრამ ა. შონბერგის, ა. ბერგის, ა. ვებერნის შემოქმედება საკუთრივ აყალიბებს ექსპრესიონისტულ მიმდინარეობას მუსიკაში. პიროვნების შინაგანი პოზიცია, გარესამყაროსთან დაპირისპირება მათ მუსიკალურ ნაწარმოებებში მელოდიისა და ტონალური საფუძვლების უარყოფის გზით გამოვლინდა.

XX საუკუნის დასაწყისში, 1915-25 წლებში კინოხელოვნებამ ასახა ექსპრესიონისტული ტენდენციები. ფილმის დრამატურგიული მასალის დამუშავებისას გაიზიარეს ექსპრესიონისტული მწერლობის თემები და პრობლემები: მისტიური სიუჟეტები, პიროვნების ფატალური განწირულობის განცდა, გარესამყაროს დამთრგუნველი ზეგავლენა ცოცხალ ქმნილებებზე. ექსპრესიონისტული მხატვრობის გამოცდილება კი აისახა ფილმის ვიზუალური სახის შექმნისას: ცოცხალი ნატურის ნაცვლად მოქმედება ვითარდებოდა აბსტრაქტულ დეკორაციაში, შუქ-ჩრდილთან კონტრასტული მონაცვლეობის ფონზე. ექსპრესიონისტულ ფილმთა შორის ასახელებენ „დოქტორ კალიგარის კაბინეტს“ (1919, რეჟ. რ. ვინე), „ნოსფერატუს“ (1922, რეჟ. ფ.მ. მორნაუ), „ცვილის ფიგურათა კაბინეტს“ (1925, რეჟ. პ. ლენი).

ქართულ ხელოვნებაში არ ჩამოყალიბებულა ექსპრესიონისტული სკოლა ან დაჯგუფება, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას ადრეულ ნოველებში თუ კოტე მარჯანიშვილის ცალკეულ დადგმებში სავსებით ცხადად შეინიშნებოდა ექსპრესიონისტული მსოფლგანცდის მოზღვავება და ამ მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი ნიშნები.

გეორგ თრაკლი

დაისის მხარე

მე-4 რედაქცია
ელზა ლასკერ-შულერს, მოკრძალებით

1.
ლურჯი მღვიმიდან,
როგორც მკვდარი, გამოდის მთვარე,
და ქვოვან ბილიკს
მირიადი ყვავილი აწვიმს.
ვერცხლოვანია სნეულების ტირილის ხმა
მწუხრის ტბორის პირს.
შავი ნავი დაუგდიათ და
სიკვდილი წყალში უპოვნიათ შეყვარებულებს.
ხოლო კორომზე, სუმბულთ შორის,
ელისის ფეხის ხმა – წკრიალი იღვრება და
მუხიანში იკარგება ჟამიდან ჟამზე.
ჰოი, ყრმის სახე,
ბროლის ცრემლთაგან
და ღამეულ აჩრდილთაგან ჩამონაკვთული!
მარადცივი საფეთქელი
კბილცეცხლოვანი ელვის ძალით
ინათებს კვალად,
მწვანე ქედებს
გაზაფხულის ავდარი როს დაეუფლება.

2.
სავსე არიან რაოდენი ჰაეროვნებით
ტყეები ჩვენი სამშობლოისა
და – ჩამოქცეულ კლდეთა ფერხთით
დამსხვრეული ბროლის ტალღები;
ძილი მოთქმად გადაგვქცეოდა;
ეკლოვან სხლეტთა გაყოლებით
მგალობელნი სეირნობენ
მწუხრის ზაფხულჟამს,
ვენახთა შორის ფენილი ნათლის
წმინდა სიმშვიდეს აღუვსია ნაბიჯი მათი;
აი, ჩრდილები – მგლოვიარე არწივები –
ყინულოვან სტომაქში ღამის.
ნაზად აშუშებს
სევდის ალისფერ ჭრილობებს მთვარე.

3.
ჰოი, თქვენ, დიდო ქალაქებო,
ქვით ნაშენნო
ვაკემიწებზე!
ასე კაცი უსამშობლო
მდუმარედ მისდევს, სახექუფრი,
ქარის დინებას, ბექსშეფენილ შიშველ ხეთა რიგს.
თქვენ, ყოველგან მომაკვდავო მდინარეებო!
ოდეს დაისის საშიშ წითელს
აღმოვაჩენთ ავდრის ღრუბლებში,
უსაშველო აგვიტანს ძრწოლა.
დასაღუპად განწირულო, ჰოი, ხალხებო!
უძლურ ტალღებად მიემსხვრევით
ღამის ნაპირთ,
ვარსკვლავებო, ჩასაქცევად განწირულებო!

DE PROFUNDIS

ველი ნამკალი, აი, სად წვიმს შავბნელი წვიმა.
ხე მოჟამული, აი, რა დგას განმარტოებით.
ქარი ავსული, აი, რაა უკაცური ქოხმახების
ბატონ-პატრონი.
ჰოი, რარიგად მწუხარეა საღამო ესე.

ობოლი გოგო
ტბორის პირს ძუნწად შემორჩენილ თაველს
მშვიდად მიმოაგროვებს.
მწუხრის ბინდ-ბუნდში გავლებული მისი თვალები
ოქროვანი ბრწყინვალებით აღივსებიან,
ზეციურ საქმროს მოუთმენლად მოელის საშო.
უკუქცევის ჟამს
ეკალ-ბარდში მწყემსებმა ნახეს
გახრწნილებამორევნილი ტკბილი სხეული.

მე ვარ აჩრდილი შორეული და ბნელი სოფლის.
ღმერთის სიჩუმეს მივირთმევდი
ტყის წიაღში შობილი ჭიდან.

ჩემს სახეზე ცივმა რკინამ გადაიარა.
გული ჩემი ობობებმა დაისაკუთრეს.
აი, სხივი, ჩემს ბაგეზე რომელიც გაქრა.

ღამით, ვერან და უკაცრიელ ალაგად შთენილს
გარს მეჯარვოდა ნაგავი და მტვერი ვარსკვლავთა.
კვლავაც გალობენ
თხილნარში ბროლის ანგელოზები.

„ის დაბრუნდება ისევ, პირიმზევ...“

„ლამაზი სული ქარით, ფოთლებით,
თვისი სიმშვიდით და შეშფოთებით,
ქლიავისა და ატმის ტოტებით
საგაზაფხულო მიწას შორდება...“

არ მცილდებოდა გონებიდან გალაკტიონისადმი მიძღვნილი მისი სტრიქონები, როცა მარტის იმ ქარიან დღეს მთაწმინდისაკენ მივაცილებდით.

ხალხმრავალ პროცესიასთან ერთად მივუყვებოდი აღმართს და ტკივილს კი არა, რაღაც საოცარ სიმშვიდეს ვგრძნობდი – ის ხომ უკვდავთა სამარადჟამო საუფლოში მიემგზავრებოდა და სამუდამოდ რჩებოდა ჩვენთან.

„მიახლოვდება ცის ლურჯი სული,
ლურჯი ნათელი მიახლოვდება...
სადღაცა ზევით იღება კარი...
.....

და ჩვენ მივდივართ მაღლა, სულ მაღლა“.

„ანა კალანდაძის მოულოდნელი გამოჩენა პოეზიაში სენსაციად იქცა. მისი მობრძანება ღმერთმა ინება და მისი სიტყვების აჟღერება ღვთაებრივ რითმებში განავრცო, რათა ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, მიგვეღო ის დიდი სიამოვნება, რითაც ჩვენი სულები აამაღლა და გაამდიდრა თავისი ლექსებით.

ანას ლექსები სავსეა სიწმინდით, სილამაზით, ადამიანების, საერთოდ ქვეყნიერების სიყვარულით, მათ შორის მრავალი შედევრია.

ციური პოეტია: მხოლოდ და მხოლოდ ცას ეკუთვნის, ციურ ჰანგთა შემოქმედია. პოეტთა ქვეყანაში ანასებრი პოეტი ქალი ადრეც უნდა დაბადებულიყო, დამშვენდებოდა დიდ წინაპართა შორის ყოფნა.

პოეზიის თარგმნა რომ შეიძლებოდეს, ანას ნობელის პრემიას მიანიჭებდნენ... მაგრამ მთავარი ეს არ არის... მთავარი ის არის, რომ ანა, ჩვენ, ქართველებს გვყავს, როგორც ღვთისგან ბოძებული დიდი ჯილდო.

მის თითქმის ყველა ლექსში „იდუმალის დიდებული სხივი კიაფობს... უზარმაზარი ფერადოვანი სამყარო ამოდის, სძრავს მთელს ჩვენს არსებას ან უკიდეგანო სევდით, ან უკიდეგანო სიხარულით“.

ამ სამყაროს შემქმნელი ქალბატონი ჩვენთან ერთად ცხოვრობდა, ცხოვრობდა ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ცხოვრებით. მისი სისადავე, გასაოცარი იუმორი, სიახლოვე და სითბო იმდენად ბუნებრივი იყო, წამიერად გავიწყდებოდა „ბიბლიიდან წამოსული“ „პოეზიის დედოფალი“ რომ იდგა შენს გვერდით, გავიწყდებოდა მისი სიმაღლე, ამიტომაც ვუბედავდი საალერსო სიტყვების თქმას: საყვარელო, ძვირფასო, ერთადერთო... – კარგი, გეყოფა – „შემომიტევდა“ შუბლშეკრული, მაგრამ ღიმილით და სხვა თემაზე დაიწყებდა საუბარს.

ხშირად მიხმობდა სხვადასხვა შეხვედრაზე, – ხომ იცი, როგორ მიჭირს საკუთარი ლექსების წაკითხვა, თუ დრო გაქვს, იქნებ დამიხსნაო. მეც სიხარულით გავრბოდი, რათა კიდევ ერთხელ მეგრძნო მასთან სიახლოვის ბედნიერება.

ანას შესახებ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ არის ერთი ნაკლებ ნაცნობი... არ ვიცი, რა დავარქვა, რომელ ჟანრს მივაკუთვნო... თენგიზ ბუაჩიძის მიერ დიდი ხნის წინათ ნათქვამი, რომელიც მინდა მცირეოდენი შემოკლებით შემოგთავაზოთ: „ანიკო, დაო, თუ მემკვიდრე ხარ კოჭლი ტიტანის, ტატოდ ხმობილის, მთისმეტყველი ვაჟა-ფშაველას და იმ ნაწვიმარ სილაში ვარდის უებრო მგოსნის, თუ იმ სამთა სულს შენს ნედლ სტვირზე ღვთიური ნამი, ცრემლის მსგავსი, უპკურებია და დაულოცავს ქართული დვრიტის თაობიდან თაობებში გადასაცემად, ქართულ სიტყვაში განცხადებულს, ქართულ სიტყვაში განმტკიცებულს შენს უკვდავებას შევხარი, როგორც ქართველობის უმტკიცეს საბუთს.

შენივე სიტყვით გეალერსები.

განა ღრუბლები როკვით დაიძრნენ შენს უღრმეს ცაში – სიტყვამ აზიდა სული მგონის და ანგელოსი მარმარილოდან მზისკენ გაფრინდა დაფნის გვირგვინით... ტირიან მთები, შენც ატირდები, ოდეს შემოვა სახლში თუთა ზურმუხტისფერი და ოდეს ქარი გიმღერებს ნანას...

შენივე სიტყვით გეალერსები:

ანიკო, დაო, ბევრი წყარო, ბევრი ხევია ბეთანიამდე, სადაც სანთელი მარადისობის იწვის ნიადაგ, წყარომ გაცოცხლა, თამარის ცრემლმა ხევს აგარიდა პირდაბჩენილს, მტერს აგარიდა ბილწსიტყვიანს, ქვას აგარიდა შენსკენ ნასროლს, გზას აგარიდა ღალატიანს და გაგიყვანა ბეთანიისკენ, სანთელი მარადისობის იწვის ნიადაგ....

იპოვე შენი წმინდა სავსება ამაოების წინაშე ფარად, კვლავ ჩამესმება შენი ღულუნი აქაც და იქაც. იქაც, ხომ იცი „იქაც“ რას ნიშნავს, რადგან, როდესაც გადავალთ იქა, აღარაფერი აღარ იქნება, ოდენ ამოვა სული შენი მიწაზე იად და კვლავ მოვლენილ ერთ ქართველ გოგოს სულს ჩაეღვრება სული შენი იად მოსული.

ის ვერ მიხვდება რა ხდება მის თავს, რა უცნობი და უცნაური ძალა ამღერებს. და მხოლოდ სული, შენი სული ამ მთა-ველებზე, ამ ტყეებზე, მთლად შენს მამულზე მო-განფენილი, იგრძნობს სადღაც „იქ“ უკვდავებას ქართული სიტყვის, როგორც მათ იგრძნეს –

კოჭლმა ტიტანმა,
მთისმეტყველმა
და იმ ნაწვიმარ სილაში ვარდის ერთმა მგოსანმა, შენი მოსვლით, საკუთარი სიცოცხლისა და ქართული სიტყვის მარადიული უკვდავება“.

.....

არ ვიცი როდის, ადრე თუ გვიან, ის მართლა მოვა.

„ის დაბრუნდება მთვარის სხივებით
ისევ პირიმზევ, ეს ხომ ასეა“.

თინათინ ელგაჯიძე

საუბრები ბიბლიაზე

ადამი და ღვთის მაძიებელი ადამიანი

რუბრიკას უძღვება
როლანდ ჩხეიძე

და ჭამა ადამ ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა

სული, რომელიც მიემხრობა, შეიცნობს და დაემორჩილება ბოროტს, არ შეიძლება სამოთხეში მკვიდრობდეს. სამოთხე მუდმივია, ბოროტება ხრწნადი და დროებითია, საწყისშივე ზიანის მომტანი არასრულფასოვნებაა, ნაკლოვანებაა. როდესაც სისრულე, ჰარმონია, სიყვარული, თავმდაბლობა და უფალის ერთგულება ჩნდება, ბოროტი თავის ძალას კარგავს და მაშინვე ისპობა. ნათქვამია: „...ვითარცა ცული რაი დასდნის წინაშე ცეცხლსა, ეგრეთ წარწყმდენ ეშმაკნი პირისაგან მათისა, რომელთა უყუარს ღმერთი და გამოისახვენ პირ-ჯუარსა“ (ლოცვა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისადმი).

სამოთხეში, ღვთაებრივი სიყვარულის დაკარგვის წუთიდან, ადამი და მისი შთამომავლობა, სულიერი სიმშვიდის აღდგენას მიელტვის. ადამიანს იმ სამკვიდრებელში დაბრუნება სურს, საიდანაც საკუთარი არსი გამოაძევეა.

უფალი მარადიულია. ადამიანი ღვთის ხატია, ამიტომ ადამიანს ძალუძს იყოს უფლის მსგავსად უხრწნელი და უკვდავი. უფალი ერთი ბუნება და სამი იპოსტასია, ანუ ღმერთია და იმავდროულად სამების სამი პირია (მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა); უფლის მსგავსად, ღვთის ხატი – ადამიანიც ერთარსია და ეს ერთარსობა იმდენ იპოსტასში ვლინდება, რამდენი ადამიანიც გაჩენილა და კვლავაც გაჩნდება.

ღმერთისა და ადამიანის, უქმნელისა და ქმნილის ბუნებას შორის უსასრულოდ დიდი ზღვარია, მაგრამ იესო ქრისტე სწორედ ამ წინააღმდეგობის გადასალახავად განკაცდა და რადგან ადამის მოდგმის გადასარჩენად მოავლინა მამა ღმერთმა ძე ღმერთი, ქრისტეს განკაცების შემდეგ, ღვთის მადლით, ყოველ ადამიანს შეუძლია განახორციელოს საკუთარი პიროვნება და „სასყიდელი დიდი მოიპოვოს ცათა შინა“.

მაგრამ, ვერც ერთი ადამიანი ვერ შევა ცათა სასუფეველში მანამდე, სანამ ბოროტისაგან სრულად არ განთავისუფლდება და ქრისტეს სისხლსა და ხორცს არ ეზიარება. რადგან, დაცემის შემდეგ: „განავლინა იგი (ადამი) უფალმან ღმერთმან სამოთხისაგან საშუებელისა საქმედ ქუეყანისა, რომლისაგან მოღებულ იქმნა“ (დაბად. 3:23) და „...დააწესა ქერობინი და მოტყინარე მახჳლი იქცევისი დაცვად გზასა ხისა ცხორებისასა“ (დაბ. 3:24).

სამოთხის გარეთ დარჩენილ ადამს, უფალმა უბრძანა: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევადმდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ“ (დაბად. 3:19). ასეთი მკაცრი განაჩენი, უფლის გაღიზიანებით არ არის გამოწვეული. დაცემული ადამიანისათვის ეს არის უფალთან დაბრუნების ერთადერთი საშუალება და პირდაპირი გზა.

ცოდვით დაცემამდე ადამიანი უზრუნველყოფილი იყო უფლის მიერ ნაბოძები სულიერი და ფიზიკური საზრდოთი. ეს ისევე ბუნებრივია, როგორც დღევანდელ პირობებში ჰაერით, წვიმითა და მზით სარგებლობა. ვინაიდან ადამი თავის თავს უფლის ხატად და მსგავსად აღიქვამდა, მისი თვითშემეცნებაც პირდაპირ უფალთან იყო დაკავშირებული. ადამის ამგვარი მდგომარეობით ბოროტმა ისარგებლა, მისი ეშმაკობით უფლის გაფრთხილება ადამს წამიერად დაავიწყდა და იგი მცდარ, თვითგაღმერთების გზას დაადგა. ადამს მოეჩვენა, რომ მას შეუძლია ღმერთს მიემსგავსოს, იცხოვროს უფლის დახმარების გარეშე, თვითონ უზრუნველყოს საკუთარი როგორც ფიზიკური, ისე სულიერი არსებობა.

უსაზღვრო და შეუქცევადია ღმერთის სიყვარული ადამიანისადმი. უფალი დროისა და სივრცის მიუხედავად ყოველ ცალკეულ პიროვნებას ასე მიმართავს: „ნუ გეშინინ, რამეთუ შენ თანა ვარ“ (ეს. 43:5). კაცთა მოდგმა ადამის ერთარსია, მაგრამ ღმერთისათვის ყოველი ცალკეული ადამიანი სქესის, ეროვნების, ინტელექტუალური, მატერიალური თუ ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად მაინც ინდივიდია და კონკრეტული იპოსტასია. თავის მხრივ ყოველი ადამიანი საკუთარი ნებით თვითონ წყვეტს, სურს მას თუ არა გამოეხმაუროს უფლის მოწოდებას.

ბოროტის გაკნასვამდე, ადამიანი სხვა საქმისათვის იყო ნაკურთხი და ეს კურთხევა ასე ჟღერდა: „აღორძნდით და განმრავლდით. და აღავსეთ ქუეყანაჲ და ეუფლენით მას. და მთავრობდით თევზთა ზღჳსათა, და მფრინველთა ცისათა, და ყოველთა პირუტყუთა, და ყოველსა ქვეყანასა და ყოველთა ქუეწარმავალთა, მავალთა ქვეყანასა ზედა“ (დაბად. 1:28).

უფლის მითითებითა და თავისი შეხედულების შესაბამისად, ადამი არყოფნიდან ყოფაში შემოყვანილ მიწიერ არსებათა არსს ჩაწვდა, შეაფასა და ყოველ მათგანს შესაფერისი სახელი შეურჩია (თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, გამოიკვლიოს: ადამიანის გარდა ვის შეუძლია ყველაფერი მთელ სამყაროში, საკუთარი სახელებით მოიხსენიოს). ადამისათვის ასეთი რთული საქმის შესრულება იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ქვეყნიერება და ყოველი მისი ბინადარი უფალმა ადამიანისათვის შექმნა. დაწერილია: „და და-ვე-ჰბადა უფალმან ღმერთმან ყოველი მხეცი ველისაჲ ყოველი მფრინველი ცისაჲ და მოიყვანნა იგინი ადამისა ხილვად და ყოველთა მშჳნვიერთა ცხოველთა, რომელიცა უწოდა ადამ, იგი არს სახელი მათი“ (დაბად. 2:19).

თუ არა ღვთის მიერ კურთხეულ წინამძღოლს, რომელ მიწიერ არსებას ძალუძს ასეთი ნიჭის გამოვლინება. ეს არც მმართველის და არც ზედამხედველის დალოცვაა, ეს არის თავკაცის და წინამძღვრის კურთხევა, რომელიც როგორც მელქიზედეკი, – „მღდელი ღმრთისა მაღლისა“ (დაბად. 14:18), მთელს ქვეყნიერებას ცათა სასუფეველისაკენ უნდა მიუძღოდეს. ადამიანს ამ ამოცანის განხორციელების უნარი დასაბამითვე ჰქონდა.

გავიხსენოთ სამოთხიდან უკვე განდევნილი ადამის შთამომავლობის ამბავი: როდესაც აღივსო ქუეყანა უსამართლოებით „და იხილა უფალმან ღმერთმან ქუეყანა და იყო განხრწნილ, რამეთუ განხრწნა ყოველმან ხორციელმან გზაჲ თჳსი ქუეყანასა ზედა“ (დაბად. 6:12) და ღმერთსა მხოლოდ: „...სათნო ეყო ნოე“ (დაბად. 6:9). უფალმა მოიხმო ნოე. მას შემდეგ, რაც ადამი ცოდვით დაეცა, ეს იყო შემწეობისთვის ღმერთის მიერ კაცის პირველად მოხმობა.

ეჭვს არ იწვევს, უფალს შეეძლო ანგელოზის ხელით განეხორციელებინა ყველაფერი, რაც ნოეს დაავალა. ანდა უფალს მხოლოდ თავისი სურვილის გამოხატვით შეეძლო მთლიანად ან ნაწილობრივ გაენადგურებინა, ან გადაერჩინა, ან შეეცვალა ქვეყანა, მაგრამ ღვთის ნებით: „ამას დღესა შევიდა ნოე, სემ, ქამ და იაფეთ, ძენი ნოესნი, და ცოლი ნოესი, და სამნი ცოლნი ძეთა მისთანი მის თანა კიდობნად. და ყოველნი მხეცნი ქუეყანისანი ნათესაობით, და ყოველნი ქუეწარმავალნი ნათესაობით, და ყოველნი საცხოვარნი ნათესაობით, და ყოველნი მფრინველნი ნათესაობით მისით, ყოველი მფრინვალე, ყოველი ფრთოსანი“ (დაბად. 7:1314).

ამიერიდან ადამიანი კვლავ შეუდგა საქმეს, რაც პირველ რიგში საკუთარი თავის სრულყოფას და შემდეგ ქვეყნიერების უფლისაკენ გაძღოლას ნიშნავს. და მიუხედავად იმისა, რომ ეს სიკეთით აღსავსე ქმედება დღევანდელი ურწმუნო ადამიანისათვის თითქმის შეუმჩნეველია; ისევე როგორც ნოეს დროს, ადამიანის უშუალო მონაწილეობით, ყოველგვარი ბოროტი, უწმინდური და უსამართლო, დღესაც იხრწნება, ქრება და პირისაგან მიწისა აღიგვება. ყველა ღვთისმორწმუნე, ერთი კაცი თუ მთელი ერი, ვინც ერთი შეხედვით ქვეყნიერად უძლურად ან სუსტად მოსჩანს, ამას გრძნობს და დიდი სიძნელეების მიუხედავად ღმერთისაკენ მიემართება; მეორედ მოსვლის ჟამს კი, როგორც უფალმა „აღიღო კიდობანი და აღმაღლდა ზედა ქუეყანისა“ (დაბად. 7:17), ისე ამაღლდება ცათა სასუფეველში ყოველი კაცი თუ ერი, რომელმაც სძლიოს ცდუნებას ხისაგან ცნობადისა.

ძე კაცისა, რომელიც უფალმა სცნო

„უფალო, რა არს კაცი, რამეთუ ეცნობე მას, ანუ ძე კაცისა, რამეთუ შეჰრაცხე იგი“ ასეთი კითხვაა დასმული 143-ე ფსალმუნში და ამ კითხვაზე სრული პასუხის გაცემა დღემდე საშურ საქმედ ითვლება.

მხოლოდ ადამიანის შექმნის დროს ბრძანა უფალმა: „ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ“ (დაბად. 1:26). უფალმა, შექმნა ადამიანი, რომელიც სხეულსაც ფლობს და სულსაც, ერთდროულად მოკვდავიც არის და უკვდავიც, ხილულიც არის და უხილავიც. კირილე ალექსანდრიელი, ნესტორთან ქრისტოლოგიური საკითხების შესახებ კამათის დროს, ადამიანის ამ უნიკალურ თავისებურებებს ქრისტეს ორბუნებრიობას ადარებდა, მისი მტკიცებით, როგორც მაცხოვარია ღმერთიც და კაციც, ისე ადამიანის იპოსტასშია გაერთიანებული მისი სულიცა და სხეულიც.

ამასთან, ადამიანს აქვს კიდევ ერთი უნიკალური თავისებურება, ხილულ სამყაროში ის ერთადერთია, ვინც თვითონ წყვეტს თავის ბედს და თვითონ ქმნის თავის სულიერ მომავალს. თუ მაგალითად ცხოველის ბედი მისი დაბადებიდანვე განსაზღვრულია – განუსაზღვრელია ადამიანის მომავალი. თავისი ცხოვრებით პიროვნება ან ცათა სასუფეველში მაღლდება, ან მისი ცოდვილი ყოფა ბნელ-უკუნეთით სრულდება.

ადამიანის სამშვინველი, ცხოველისაგან განსხვავებით, სხეულის სიკვდილის შემდეგაც არ წყვეტს თავის არსებობას. ამიტომ, როგორი მარტივი, დაცემული ან თუნდაც ამპარტავანიც უნდა იყოს ადამიანი, ცხოვრების რომელიმე ეტაპზე მაინც შეიგრძნობს საკუთარი არსის უკვდავებას. ადამიანს წამიერად მაინც დაეუფლება თავისუფალი ნების შეგრძნების შედეგად წარმოქმნილი აღტაცება და შეაშფოთებს განვლილ წლებში ამორჩეული ცხოვრების გზის სისწორის შიში.

ადამიანის თვითშემეცნებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი მისი გამრავლების პროცესს უკავშირდება. წმინდა მაქსიმე აღმსარებელი მიიჩნევს, რომ ცოდვით დაცემა რომ არა, ადამიანი სულიერი გზით გამრავლდებოდა. იგი არ აზუსტებს, როგორ უნდა განხორციელებულიყო ამგვარი გამრავლება, მაგრამ მაინც ნათელი ხდება, რომ ასეთ შემთხვევაში ადამიანი საკუთარ თავს სულ სხვაგვარად დაინახავდა.

სქესობრივი განსხვავების დანახვა ადამიანის თვითშემეცნების პროცესში ახლებურად ხედვის დასაწყისია. ცოდვით დაცემამ ადამიანები ერთმანეთისაგან განაშორა, მათ „განეხუნეს თუალნი ორთა-ნივე და აგრძნეს, რამეთუ შიშუელ იყვნეს“ და დაიკარგა მათი ერთარსობა. მაგრამ, მას შემდეგ რაც „ადამ იცნა ევაჲ ცოლი თჳსი“ ადამმა საკუთარ ცოლს, „ცხორებაჲ“, ანუ „ევა“ უწოდა. ევა ცხოვრებად კი მხოლოდ ადამთან ერთობაში აღიქმება: „და თქვა ადამ: აწ ესე ძუალი ძუალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი“. შესაბამისად, მამაკაცი – ქმარი, ხოლო დედაკაცი ცოლი გახდა.

„იმისათვის, რათა ცხოვრებაში ახალ ურთიერთობებს მიეცეს გზა, ადამიანი მშობლებთან ბუნებრივ კავშირს წყვეტს. მამაკაცი და დედაკაცი ერთმანეთს ნებაყოფლობით ირჩევენ, თავიდანვე, მათ შეუღლებაში, მთავარი ფაქტორი სიყვარული და ერთგული თანაცხოვრება ხდება. ამ გადაწყვეტილებას ორი ადამიანი არა მხოლოდ ზნეობრივ და სულიერ სიახლოვემდე, არამედ ინდივიდუალობის შენარჩუნებით ურთიერთშერწყმამდე მიჰყავს. ამგვარად ქმნილ სამყაროში თავის ადგილს თანაცხოვრების უქმნელი სამყაროსათვის დამახასიათებელი ტრინიტარული მოდელი იმკვიდრებს“ (ნახე, *Христос Яннарас "Вера Церкви"*. *М.*, 1992), ანუ წმინდა სამების გამოძახილს, ჩვენ როგორც ცალ-ცალკე ადამსა და ევაში, ისე მათი სიყვარულით აღორძინებულ განუყოფლობაში ვხედავთ.

ეს ნებაყოფლობითი მტკიცე ერთობა, ადამიანის მოდგმის კვლავ გამთლიანების საწყისი გახდა. დაწერილია: „და შენ შექმენ კაცი ადამ და მიეც მას შემწედ ცოლი, მსგავსი მისი, და ორთა მათგან იქმნა ნათესავი კაცთა“ (ტობ. 8:8).

და კიდევ: „და შექმნნა ერთისაგან სისხლისა ყოველნი ნათესავნი კაცთანი დამკჳდრებად ყოველსავე ზედა პირსა ქუეყანისასა“ (საქმ. 17:26);

ამ ურყევ ჭეშმარიტებაზეა აგებული ადამიანის ერთარსობა, ცოდვიანობა და მაცხოვრის მიერ მთელი კაცობრიობის ცოდვისაგან გამოსყიდვა: „ვითარცა-იგი ერთისა მის შეცოდებისაგან ყოველთა კაცთა ზედა დასაშჯელად, ეგრეცა ერთისა მის სიმართლისათჳს ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებელად ცხორებისა“ (რომ. 5:18).

სხეული

„საკვირველი და დიდი სიწმინდის მომასწავლებელი ამბავი გამანდეს (ბრძანებს ღირსი იოანე სინელი). ერთმა საოცრად პირმშვენიერი დედაკაცი იხილა, მან ამ მიზეზით ღმერთი ადიდა და ღვთის განუზომელი დიდებულების გამო ცრემლი დაღვარა. მართლაც, საოცარი სანახაობაა! ის, რაც ერთისთვის დანსათქმელი უფსკრული იქნებოდა, ამ ზეაღმატებულისათვის დიდების გვირგვინის მომნიჭებელი გახდა. თუ ასეთ ადამიანს მსგავს შემთხვევაში ყოველთვის ასეთივე გრძნობა და ღვაწლი აქვს, ის უკვე აღდგომილი და უხრწნელია საყოველთაო აღდგომამდე“ (კიბე ანუ კლემაქსი, სიტყვა 15:78. www.orthodoxy.ge).

იოანე სინელი, ღვთის ხატს არა მხოლოდ ადამიანის სულში, არამედ მის სხეულშიც ხედავს და მიაჩნია, რომ ღვთის განდიდებისათვის, სრულიად საკმარისია ადამიანის სხეულის სრულყოფილების აღქმა.

ანტიკურ ფილოსოფიაში ადამიანის ფასეულება ყოველთვის მის სულთან კავშირში განიხილებოდა. ადამიანის გადარჩენა, მხოლოდ სულის გადარჩენას გულისხმობდა. სხეული კი ბოროტის საწყისად და სულის საწინააღმდეგოდ მომართულ ძალად მიიჩნეოდა.

წმინდა იუსტინე ფილოსოფოსმა წარმართებთან კამათში ასეთი კითხვა დასვა: „თუ სხეული უსარგებლო რამ არის, რატომ განკურნა იგი იესო ქრისტემ?“. ეკლესიის მტკიცებით, ადამიანი თავისთავად არც მხოლოდ სულია და არც სხეული. ეკლესია ადამიანს, როგორც სულისა და სხეულის ერთობლიობას განიხილავს.

მართლმადიდებელი ღვთისმეტყველის, ქრისტოს იანარასის აზრით, ადამიანის იპოსტასში სრული ადამიანური ბუნება იგულისხმობა. ეს სრულყოფილება მრავალი სახის გარეგნულ ენერგიებად ვლინდება. ისინი პირობითად ფსიქიკურ და სომანტიკურ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ფსიქიკური ენერგიების ერთობლიობას სულს ვუწოდებთ, ხოლო სომანტიკურს – სხეულს. ამ ორი ჯგუფის მთლიანობა კი ადამიანია. როგორც მღვდელი ოლეგ დავიდენკოვი აღნიშნავს, ამ ანტროპოლოგიურ მოდელში, სრულად აისახება წმინდა წერილის, უკიდურეს შემთხვევაში ძველი აღთქმის განწყობა, მაგრამ წმინდა მამათა წერილებსა და გამონათქვამებში ასეთი პოზიციის მტკიცებულების საფუძველის მოძიება საკმაოდ რთულია.

წმიდა გრიგოლი პალამა, ადამიანს ანგელოზებთან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებს. რადგან შემოქმედებითი უნარი, რომელიც ადამიანს გააჩნია, მისი სხეულებრივი ბუნების გამოვლინებაა. ის თვლის, რომ ღვთაებრივ ქმნილებათა შორის ეს გამორჩეული თავისებურება მხოლოდ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას როგორც გრძნობად, ისე ინტელიგიბელურ (ზეგრძნობად, ზებუნებრივ) ცხოვრებაში მონაწილეობით გაამდიდროს საკუთარი გამოცდილება, ამავე დროს, ერთმანეთს დაუკავშიროს და გაამთლიანოს ხილული და უხილავი სამყარო. ანგელოზებს, როგორც უსხეულო სულებს, ასეთი გამორჩეული შესაძლებლობა არა აქვთ. პავლე ფლორენსკის სიტყვებით კი: „ადამიანი თავისი არსით ისე მჭიდროდაა დაკავშირებული სამყაროს სხეულთან, რომ მისი და სამყაროში არსებული ყოველი ქმნილების ბედი პრაქტიკულად განუყოფელია“. (შეადარე, Олег Давыденков. Догматическое богословие. М.: ПСТГУ, 2006. С. 211).

გაგრძელება იქნება

მოსწავლეთა კომპანია

13 მარტს, თბილისის 61-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **შოთა მანჯავიძე**) პროექტის „მოსწავლეთა კომპანია“ პრეზენტაცია შედგა. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტს „ჯუნიორ ეჩივმენტ – საქართველო“ უკვე მეორე წელია საქართველოს საჯარო სკოლებში წარმატებით ახორციელებს. დღეისათვის პროექტი საქართველოს 11 საჯარო სკოლაში ხორციელდება. შარშან კი, 200-მდე სკოლა მონაწილეობდა.

მირანდა თელია, სამოქალაქო ეკონომიკის საგნის პედაგოგი: *„ჯუნიორ ეჩივმენტ – საქართველოს“ პროექტი „მოსწავლეთა კომპანია“, დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს საჯარო სკოლებში წარმატებით ხორციელდება. 61-ე საჯარო სკოლაში პროექტის განხორციელება ერთი თვის წინ დავიწყეთ. პროექტის მიზანია, ახალგაზრდებს გააცნოს ბიზნესი და ეკონომიკა, დაანახოს თავისუფალი მეწარმეობის ღირსებები, გაუჩინოს პროფესიონალად ჩამოყალიბების სურვილი და აქციოს ისინი თავისუფალ მოქალაქეებად. პროექტი ხელს უწყობს მოსწავლის გონებრივ განვითარებას, სწავლობენ ბიზნეს საქმიანობას, პროექტების განხორციელებას, ბიზნესში ეთიკურ სვლებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბიზნესში კეთილსინდისიერება. კლასში, სადაც სამოქალაქო ეკონომიკა ისწავლება, პროექტის ფარგლებში, იქმნება „მოსწავლეთა კომპანია“. მოსწავლეები ქმნიან გუნდებს იმისათვის, რომ ჩამოაყალიბონ ბიზნეს ფირმა („კომპანია“), რომელიც ჩაებმება რაიმე მომგებიან ბიზნეს აქტივობაში. გუნდის წევრები არიან კომპანიის დამფუძნებლები. პირველ ეტაპზე, მოსწავლეები მუშაობენ მასწავლებელთან და მოხალისე მრჩეველთან ერთად, გადიან ყველა პროცედურას: აფუძნებენ კომპანიას, არქმევენ სახელს, საზღვრავენ მისიას, ღირებულებებს და მიზნებს, იწყებენ ლიდერთა სტრუქტურის შექმნას და იწვრთნებიან გუნდის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის. შემდეგ იწყებენ მუშაობას კომპანიის დაფინანსების გეგმაზე. ამ ეტაპზე მოსწავლეები გადიან ყველა ლეგალურ პროცესს ბიზნესის დაფუძნებისათვის, ემზადებიან და ეცნობიან ყველა ოფიციალურ მოთხოვნას, დოკუმენტებს და პროცესს, რაც საჭიროა ბიზნეს ერთეულის შექმნისა და რეგისტრაციისათვის. თუ ეს არის სააქციო კომპანია, მაშინ მუშავდება აქციების შეთავაზების გეგმა. ვინაიდან პროგრამა სასწავლოა, უფრო გამარტივებული მეთოდით ვმუშაობთ. იდეის ირგვლივ მოსწავლეები ქმნიან პროდუქციას, რომელსაც შემდგომ ყიდიან. საწყისი კაპიტალი გროვდება აქციებით. კომპანიის წევრები ყიდიან აქციებს, კლასში, მასწავლებლებში, თავიანთ თანატოლებში. ამ თანხას სესხის სახე აქვს, რომელიც პროდუქტის რეალიზაციის შემდეგ აქციის მფლობელს უკანვე უბრუნდება.*

დღევანდელ გამოფენა-გაყიდვაში მონაწილე ყველა კომპანიის წარმომადგენელი სპეციალური საერთაშორისო სერტიფიკატით დაჯილდოვდება. აღსანიშნავია, რომ ამ სერტიფიკატის გამოყენება მათ უცხოეთის იმ ქვეყნებშიც შეეძლებათ, სადაც „ჯუნიორ ეჩივმენტი“ თავის პროექტებს ახორციელებს.“

შოთა მანჯავიძე, 61-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„სამოქალაქო ეკონომიკის სწავლებას სერიოზულად მივუდექით, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია „ჯუნიორ ეჩივმენტ – საქართველომ“. საგნის პედაგოგის, ქალბატონ მირანდას ძალისხმევით მოსწავლეებში საგანმა დიდი დაინტერესება გამოიწვია. დღევანდელი გამოფენა-გაყიდვაც იმ ინტერესის, მონდომებისა და მუშაობის შედეგია, რომელსაც მოსწავლეები საგნის მიმართ იჩენენ.“*

თამუნა ცერცვაძე, კომპანიის Exclusive პრეზიდენტი, XI[1] კლასის მოსწავლე: *„პროექტმა „მოსწავლეთა კომპანია“ საშუალება მოგვცა აღმოგვეჩინა საკუთარი შესაძლებლობები. გავაკეთეთ სხვადასხვა სახის სამკაულები, აქსესუარები. ვფიქრობ, ჩვენი პროდუქცია ნამდვილად მოხიბლავს დამთვალიერებელს. შემოსული თანხით გვინდა ბავშვთა სახლს დავეხმაროთ. რაც შეეხება სკოლაში სამოქალაქო ეკონომიკის სწავლებას, ჩემი აზრით აუცილებელი და მნიშვნელოვანია. კომპანიაში 18 მოსწავლე ვართ გაწევრიანებული. ძალიან დიდ დაინტერესებას იჩენენ ჩვენი თანაკლასელი ბიჭები, ისინი აქტიურად გვეხმარებოდნენ დღევანდელი დღის ორგანიზებაში.“*

თამუნა ჯავახიშვილი, კომპანიის Exclusive წარმომადგენელი, XI[1] კლასის მოსწავლე: *„დღევანდელ გამოფენა-გაყიდვაზე წარმოდგენილი პროდუქცია ჩვენი ხელით შევქმენით, რაც ძალიან მახარებს. აქციების საშუალებით შევიძინეთ აქსესუარების დასამზადებელი საჭირო მასალა და ჩვენი გემოვნებით დავამზადეთ სხვადასხვა სახის სამკაულები, თმის სამაგრები, თექის აქსესუარები და სხვ. „სამოქალაქო ეკონომიკის“ სწავლებით ძალიან ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს გავეცანით. ჩვენს კომპანიაში თითოეულ მოსწავლეს თავისი საქმე აკისრია, გვყავს პრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტები, გაყიდვების მენეჯერი, პიარ მენეჯერი, თითოეულ ჩვენგანს თანამდებობაც და საქმეც განაწილებული გვაქვს.“*

ანა ბარათაშვილი, კომპანიის New look პრეზიდენტი, XI[2] კლასის მოსწავლე: *„სამოქალაქო ეკონომიკის სწავლება წელს პირველად დავიწყეთ, საკმაოდ საინტერესო საგანია. თავდაპირველად, სანამ პროექტზე მუშაობას დავიწყებდით, გავიარეთ ბიზნესეთიკის კურსი. ეკონომიკის გაკვეთილი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა საგნებისგან. გაკვეთილის სწავლების პროცესი საკმაოდ ორიგინალური და საინტერესოა. ვფიქრობ, სკოლაში ეკონომიკის სწავლება მნიშვნელოვანია. საშუალება მოგვეცა, ახლოს გაგვეცნო სხვადასხვა კომპანიის საქმიანობა, მუშაობის პრინციპები, მათი შექმნის ისტორია, განვითარების ეტაპები, თუ როგორ ხდება კლიენტის მოზიდვა, რომელი ფერია რეკლამისთვის ყველაზე აქტუალური და ბევრი სხვა, ერთი შეხედვით, წვრილმანი საკითხი, რაც განაპირობებს ბიზნესში წარმატებას. პროექტის პირველ ეტაპზე გავყიდეთ აქციები და შემოსული თანხით მასალა ვიყიდეთ, რომლითაც სხვადასხვა სახის აქსესუარები გავაკეთეთ. დღევანდელ გამოფენა-გაყიდვაზე წარმოდგენილი გვაქვს სამკაულები – საყურეები, სამაჯურები, თმის სამაგრები... გაყიდული პროდუქტიდან შემოსულ თანხას კვლავ აქციების მფლობელებს დავუბრუნებთ. პროექტში ჩვენი კლასიდან 10 მოსწავლეა ჩართული, მე კომპანიის პრეზიდენტი ვარ, კომპანიაში 4 ვიცეპრეზიდენტია. ასევე, მოსწავლეთა კომპანია შედგება სხვადასხვა გუნდებისაგან, კერძოდ: ფინანსური, მწარმოებელი, მარკეტინგის, გაყიდვების და სხვ.“*

ანი ბურდული, კომპანიის Mixed production პრეზიდენტი, XI[3] კლასის მოსწავლე: *„სამოქალაქო ეკონომიკის ფარგლებში ბიზნესის ეთიკასაც ვსწავლობთ, რაც მნიშვნელოვანია წარმატებული ბიზნესის წარმოებისთვის. პროექტის „მოსწავლეთა კომპანია“ ფარგლებში გადავწყვიტეთ მოგვეწყო პირველი გამოფენა-გაყიდვა. დამთვალიერებელი გაეცნო ჩვენი სკოლის მეთერთმეტეკლასელთა კომპანიების მიერ წარმოებულ პროდუქციას. დღეს წარმოვადგინეთ ხელნაკეთი აქსესუარები – ქალის სამკაულები, საყურეები, „აბადოკები“, სხვადასხვა ლოგოთი გაფორმებული მაცივარზე მისაკრავი მაგნიტები. ვინაიდან ჩვენი პროდუქცია მრავალფეროვანია, გადავწყვიტეთ კომპანიისთვის შესაბამისი სახელი Mixed Production დაგვერქმია. შედეგით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. დღევანდელი პრეზენტაცია განსხვავებული და ორიგინალური რომ ყოფილიყო, ჩვენი კუთხე სხვადასხვა ფერის ჰელიუმის ბუშტებით გავაფორმეთ. გაყიდული პროდუქციიდან შემოსულ თანხას კვლავ აქციონერებს დავუბრუნებთ.“*

მაკა ყიფიანი

„დიდი ქართული რომანი“, რომელსაც მკითხველი მუდამ ეყოლება

13 მარტს, თბილისის 26-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ლიდა ნოდია**) გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, რომელიც რევაზ ინანიშვილის შემოქმედებას მიეძღვნა. ღონისძიება მოამზადა **გულნაზი გელაშვილმა**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, მუსიკალურად და მხატვრულად გააფორმეს: **მარინა ხარაძემ**, მუსიკის მასწავლებელმა და **ქეთევან თედორაძემ**, ხელოვნების მასწავლებელმა. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ მწერლის ოჯახის წევრები.

სასკოლო ღონისძიებაში ძირითადად მეცხრეკლასელები მონაწილეობდნენ. მოსწავლეებმა წარმოადგინეს სცენები რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებებიდან, წაიკითხეს ამონარიდები, სტუმრებს არაერთი საინტერესო მუსიკალური ნომერი შესთავაზეს.

წამყვანები იყვნენ **ანა ფალიანი** და **გურამ ივანიძე**. რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებების პერსონაჟები განასახიერეს: უშიშა პაპა – **ზურაბ კვიცინაძემ**; მირანდუხტი – **ნინო წულაძემ**; ლი – **თამარ ჭიღლაძემ**; გოგონა, რომელსაც ღამე შეუყვარდა – **ნინო ქოქოსაძემ**; მეფე ერეკლე – **ლევან იზორიამ**; ანანურელი ბიჭი – **დემეტრე ჭიაურელმა**; ბებიები – **სოფო მერაბიშვილი, ნინო აბელიშვილი, თეონა ცერცვაძე**; დედა ქეთევანი – **მერი ბიბილაშვილი**; თავადი ვიდგენშტეინი – **დავით ზარდიაშვილი**, ბეჟანა – **გიორგი გურგენიძე**.

ამონარიდებს მწერლის შემოქმედებიდან კითხულობდნენ: **ნინო** და **ელზა არჯევანიძეები, მარიამ აბულაძე, მარიამ ქარაბაკი, ანა ხანთაძე, ცოტნე კეიდია, გიგი ჯინჭარაძე, თამარ მერაბიშვილი, ვანიკო ყაულაშვილი**.

„ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ბავშვებს მშვენივრად აქვთ აღქმული ის, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა მწერალს თავის ნაწარმოებებში. გამართულად მეტყველებენ. ეს, რა თქმა უნდა, კარგი მასწავლებლის დამსახურებაა. ჯერ კიდევ რეზოს სიცოცხლეში ჩაატარა ამ მასწავლებელმა მსგავსი ღონისძიება და თვითონ რეზო ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა – შესანიშნავი ბავშვები არიან და შესანიშნავი მასწავლებელი ჰყავთო. მოგეხსენებათ, მწერალს უხარია, როცა მის ნაწარმოებებს კარგად იგებენ. სასიხარულოა, სკოლას ასეთი კარგი მასწავლებელი რომ ჰყავს. მადლობის მეტი რა მეთქმის. ვუსურვებ, კიდევ ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაეტარებინოთ.“ – **როზა ინანიშვილი**, რევაზ ინანიშვილის მეუღლე.

„დღეს ჩვენს სკოლაში დიდი ზეიმი იყო. საერთოდ, ჩვენ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ვაღმერთებთ რეზო ინანიშვილს. ხშირად ვაწყობთ ინსცენირებებს მისი მოთხრობებიდან. ბატონი რეზოს სიცოცხლეშიც ჰქონდა ქალბატონ გულნაზს გაკეთებული უფრო დიდი ღონისძიება და ძალიან მოიხიბლა ბატონი რეზო. ახლაც ყურში ჩამესმის მისი სიტყვები: ერთ-ერთ ღონისძიებაზე ვიყავი და თავი ვერ ავნიე სირცხვილით, ეს აბდაუბდა რამ დამაწერინაო (ეს, რა თქმა უნდა, თავმდაბლობით თქვა, როგორც ჩანს, არ ჰქონდათ კარგად გაკეთებული) და დღეს კი, მოსწავლეებს რომ მოვუსმინე, სიამაყით აღვივსე, რა კარგად დამიწერიაო. გულისტკივილით შემიძლია ვთქვა, რომ რევაზ ინანიშვილი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაფასებული, როგორც ის იმსახურებს. ძალიან დიდი მწერალია. თითქოს პატარ-პატარა მოთხრობები აქვს, მაგრამ ამ პატარა მოთხრობებში ძალიან დიდი სათქმელი აქვს ჩადებული და ყველა ეს ნაწარმოები, სხვადასხვა თემაზე დაწერილი, ერთი დიდი რომანია – დიდი ქართული რომანი, დიდი ქართული სიტყვა. პრობლემები, რაზეც ბატონი რეზო თავის მოთხრობებში ამახვილებდა ყურადღებას, არსად არ გამქრალა, დღესაც აქტუალურია და დღესაც გვარიგებს რეზო ინანიშვილი თავისი სიტყვებით, შეგონებებით და მინიშნებებით, რომ სხვანაირად უნდა ვიცხოვროთ – ამაღლებულად, სულიერად. პატარა კაცუნებინებივით ჩვენს ჯამში არ უნდა ვიყურებოდეთ, უფრო საქვეყნო აზროვნება უნდა გვქონდეს. საუბედუროდ, დღეს ეს ყველაფერი გვაკლია.ერთი სიტყვით, ბატონი რეზოს შემოქმედება უკვდავია.

ძალიან ვღელავდი დღეს, ბავშვებს რომ ვუსმენდი. ხომ ყველა ფრაზა ნაცნობი იყო, მაგრამ მაინც ძალუმად მიცემდა გული. უფრო მძაფრად შევიგრძნობდი ყველაფერს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ სინტერესო ღონისძიებისთვის ჩემს კოლეგას – გულნაზი გელაშვილს.“ – **მედეა ჯაიანი**, 26-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

„ბატონი რეზოს ადრეც გვყავდა მოწვეული და ძალიან მოეწონა ჩვენი ბავშვები, ასე გულით ნათქვამი და ასე კარგად გაგებული ჩემი შემოქმედება არსად მინახავსო. დამპირდა, როგორც ჩემს ნამდვილ მკითხველს, წიგნს გაჩუქებო. მოგვიანებით, მწერალი საავადმყოფოში მოვინახულე და მაშინ მაჩუქა სამახსოვრო წარწერით. ეს ყველაზე დიდი საჩუქარია, რაც კი ცხოვრებაში მიმიღია. რევაზ ინანიშვილი და ლევან გოთუა ჩემთვის ყველაზე დიდი მწერლები არიან.

დღევანდელ ღონისძიებაში, ძირითადად, მეცხრეკლასელები იყვნენ დაკავებული. ეს ჩემი ყოფილი სადამრიგებლო კლასია და ამ ბავშვებთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებს. თუმცა, ჩართული იყვნენ სხვა კლასების მოსწავლეებიც. ეს ღონისძიება ჩაფიქრებული იყო, როგორც სასკოლო ღონისძიება.“ – **გულნაზი გელაშვილი**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ღონისძიების ორგანიზატორი.

„ძალიან ბევრის თქმა შემიძლია ქალბატონ გულნაზზე. ნამდვილად შემოქმედი პედაგოგია. არაერთი შესანიშნავი ღონისძიება აქვს ჩატარებული. დღევანდელ ღონისძიებაში, ძირითადად, მონაწილეობდნენ მისი ყოფილი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები. ამ ბავშვებს გამორჩეულად უყვართ გულნაზი მასწავლებელი. როგორც წესი, უფროსკლასელები თავს არიდებენ ხოლმე მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობას, დღეს კი ორისაათის განმავლობაში ისინი გატაცებით, უდიდესი სიამოვნებით გვიკითხავდნენ ამონარიდებს რევაზ ინანიშვილის შემოქმედებიდან. ეს, რა თქმა უნდა, პედაგოგის დამსახურებაა. მას ესმის ბავშვების ენა, ამავე დროს ამოძრავებს სიყვარული როგორც თავისი საგნის, ასევე მოსწავლეების მიმართ.

დღეს მოსწავლეებს რომ ვუსმენდი, ცრემლიც კი წამომივიდა, ისეთი გულშიჩამწვდომი ამონარიდები შემოგვთავაზეს. მიმაჩნია, რომ დღეს როგორც ღონისძიების მონაწილეებში, ასევე სტუმრებში გაცოცხლდა ქართული სული. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხრობები ადრეა დაწერილი, სცენიდან გვესმოდა ის, რაც დღეს ხდება, ეს უდიდესი ნიჭია. რევაზ ინანიშვილი მსოფლიო დონის მწერლად მიმაჩნია. ბავშვები აუცილებლად უნდა იცნობდნენ მის შემოქმედებას.

მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ გულნაზის და ვუსურვო მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩაეტარებინოს. ჩვენ, დირექცია ყოველმხრივ ვეცდებით, მის გვერდში ვიყოთ და დავეხმაროთ.“ – **ლიდა ნოდია**, 26-ე საჯარო სკოლის დირექტორი.

„რევაზ ინანიშვილის შემოქმედებას ჩვენ აქამდეც ვიცნობდით. დიდი მღელვარებით ველოდით ამ დღეს. საგანგებოდ მოვრთეთ დარბაზი. გვიხაროდა, რევაზ ინანიშვილის ოჯახის წევრები რომ მოდიოდნენ ჩვენთან სტუმრად.“ – **თეონა გურგენიძე**, VIII კლასი.

„რევაზ ინანიშვილის შესახებ ხშირად გვიყვებოდა მასწავლებელი და ძალიან შეგვაყვარა ეს მწერალი. საღამოს მომზადება რომ გადაწყვიტა, ჩვენც შემოგვთავაზა მონაწილეობა. გვიხარია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა“ – **ლიკა ტყემალაძე**, VIII კლასი.

„ადრე რევაზ ინანიშვილის შემოქმედებას სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხრობებით გავეცანით და ძალიან შევიყვარეთ. ისეთი მოთხრობები აქვს, რომ ყველა ასაკის ადამიანს მოსწონს.

ღონისძიების დაწყებას მოუთმენლად ველოდით და გვიხარია, გულნაზი მასწავლებელი კმაყოფილი რომ დარჩა. ჩვენც ძალიან კმაყოფილები ვართ.“ – **რუსუდან ბაიდოშვილი**, VIII კლასი.

„რევაზ ინანიშვილის შემოქმედებას მეხუთე კლასიდან გავეცანი და ძალიან მომწონს ეს მწერალი. რუსუდანს ვეთანხმები, ისეთი მოთხრობები აქვს, რომ ყველა ადამიანს მოსწონს. გაგვეხარდა გულნაზი მასწავლებელმა, რომ გვთხოვა საღამოს მომზადებაში მონაწილეობა მიგვეღო.დღევანდელი საღამოთი ძალიან კმაყოფილი ვარ.“ – **ნინო ბაიდოშვილი**, VIII კლასი.

„რევაზ ინანიშვილი არ არის უბრალო მწერალი, ის უდიდესი მწერალი და მოღვაწეა, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ადამიანის სულის ჩამოყალიბებაში. დიდი ბედნიერებაა ქართველი ხალხისთვის, რომ მათ სამშობლოში დაიბადა რევაზ ინანიშვილი, მწერალი, რომელიც საუკუნეში ერთხელ იბადება. მე მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ გულნაზი გელაშვილს, რადგან მან ასე კარგად და დეტალურად შეგვასწავლა ამ დიდი მწერლის შემოქმედება, ასევე ასეთი ლამაზი დღე გვაჩუქა.“ – ანა **ფალიანი**, IX კლასი.

„ბატონი რეზოს შემოქმედება გაჟღენთილია სამშობლოსა და ბუნების სიყვარულით, რაც ამ ღონისძიების დროს მძაფრად განვიცადეთ. მას უყვარდა ყველაფერი, რაც კი ოდესმე ღმერთს შეუქმნია და ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ ცოტათი მაინც დავემსგავსოთ ბატონ რეზოს.“ – **ნინო წულაძე**, IX კლასი.

„რევაზ ინანიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. დიდი მადლობა გულნაზი მასწავლებელს იმისთვის, რომ საშუალება მომცა, მეც შემეტანა წვლილი ამ ღამაზ ღონისძიებაში.

ამ საღამომ თითოეული ჩვენგანის თვალწინ გააცოცხლა შესანიშნავი მწერლის შემოქმედება და წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვტოვა. საშუალება მოგვეცა, თავიდან გაგვეთავისებინა და შეგვეცნო რევაზ ინანიშვილის მოთხრობები, გვემოგზაურა მისი გმირების სამყაროში.“ – **თეონა ცერცვაძე**, XII კლასი.

ლალი თვალაგეიშვილი

* * *

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** 161-ე საჯარო ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტური გახსნა და მის მიმდინარეობას დააკვირდა.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტური ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, უცხოურ ენებსა და ფიზიკაში, 13 და 14 მარტს, თბილისსა და ქუთაისში ჩატარდა და მასში 3467 მოსწავლე მონაწილეობდა.

მეორე ტურში გასულთა რაოდენობა, საგნების მიხედვით, შემდეგია:

ქართული ენა და ლიტერატურა	410
ქართული ენა და ლიტერატურა (არაქართულენოვანი)	382
მათემატიკა	947
ინგლისური ენა	470
გერმანული ენა	345
რუსული ენა	416
ფრანგული ენა	270
ფიზიკა	227

დანარჩენ საგნებში ოლიმპიადის მეორე ტური 27 და 28 მარტს ჩატარდება და მონაწილეობას სულ 5696 მოსწავლე მიიღებს. უცხოური ენის ოლიმპიადის მეორე ტურში 2 უსინათლო მოსწავლე მონაწილეობს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 2009 წლიდან, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ყოველწლიურად ტარდება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხოური ენები, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინფორმატიკა.

ოლიმპიადა 3 ტურად ტარდება როგორც ქართულ, ასევე სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

დასკვნით ტურში გამარჯვებული 10 მოსწავლე ეროვნული ნაკრების წევრი გახდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას.

წელს, გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველთა 173 657 განაცხადი შევიდა საქართველოს ყველა რაიონის სკოლებიდან.

მინისტრის განცხადებით, ზოგადი განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კვლავ განხორციელდება როგორც ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები, ასევე საქართველოს მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებში. ოლიმპიადების წახალისების მიზნით, იგეგმება საერთაშორისო ოლიმპიადების საქართველოში ჩატარება.

* * *

მარნეულის №7 აზერბაიჯანულენოვანი საჯარო სკოლის მოსწავლეები ამიერიდან თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში ისწავლიან. 2009 წლამდე სკოლა ფუნქციონირებდა, როგორც საბაზო და განთავსებული იყო გასული საუკუნის 30-იან წლებში აგებულ შენობაში. გეიდარ ალიევის ფონდის დაფინანსებით, 2009-2010 წლებში, სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, აღიჭურვა თანამედროვე სასკოლო მერხებით, დაფებით. კომპიუტერები და სასნავლო თვალსაჩინოებები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში, გასულ წლებში გადაეცა.

რეაბილიტირებული საჯაროს სკოლის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა**, ქვემო ქართლის გუბერნატორმა **დავით კირკიტაძემ**, აზერბაიჯანის სახელმწიფო სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარემ **რამიზ გასანოვმა**, გეიდარ ალიევის ფონდისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიიღეს.

ვიზიტის ფარგლებში, დიმიტრი შაშკინმა მარნეულის №7 საჯარო სკოლას, სადაც 100-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს, პორტატული კომპიუტერები გადასცა.

2009 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „იაკობ გოგებაშვილი – საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ ფარგლებში 564,295 ლარი გადაეცა, რომლითაც განხორციელდა: სოფ. ალგეთის №2 საჯარო სკოლის მშენებლობა, მარნეულის №5 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, შაუმიანის №2 საჯარო სკოლაში გათბობის სისტემის დამონტაჟება, მარნეულის №2 საჯარო საჯარო სკოლაზე მიშენება და გათბობის სისტემის მოწყობა.

2010 წელს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, აშენდება მარნეულის რაიონის სოფელ ახალი დიოკნისის საჯარო სკოლა.

* * *

16 მარტს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ახალციხეს ეწვია და მე-5 საჯარო სკოლაში შეხვედრა გამართა – ქალაქის მასწავლებლებს, დირექტორებსა და მოსწავლეებს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე და ამ რეფორმების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე ესაუბრა.

მინისტრის განცხადებით, მიმდინარეობს მუშაობა ახალ სასწავლო გეგმაზე, რომლის მიხედვითაც სასწავლო დისციპლინებს ახალი საგანები – სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, საინფორმაციო ტექნოლოგიები და მსოფლიო კულტურის ისტორია დაემატება. გარდა ამისა, ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზკულტურა სპორტის გაკვეთილებით ჩანაცვლდება, რაც ჯანსაღი და ჯანმრთელი თაობის აღსაზრდელად მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სპორტის გაკვეთილების ჩატარებისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით, ახალციხის საჯარო სკოლებში კეთილმოეწყობა სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც მინისტრის განცხადებით, სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი იქნება.

დიმიტრი შაშკინმა პედაგოგთა და მოსწავლეთა შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა. კითხვების ძირითადი ნაწილი პედაგოგთა ნებაყოფლობით სერტიფიცირებას, 2011 წელს გამოსაშვებ და უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებელი გამოცდების პროცედურებს ეხებოდა.

* * *

საერთაშორისო ორგანიზაცია „პიზა” საქართველოში წელს პირველად ატარებს საერთაშორისო კვლევას. კვლევა ჩატარდება ჩვენი ქვეყნის 250 სკოლაში, რომელთაც შემთხვევითი პრინციპით ირჩევს ორგანიზაცია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან მათ სიაში ხაჯალიის, მამათის და ნიგოითის სკოლები მოხვდნენ.

კვლევა აპრილში ჩატარდება ტესტური ფორმით და მისი ობიექტი 15 წლის მოსწავლეები არიან. კვლევის მიზანია 15 წლის მოსწავლეების განვითარების დონის დადგენა იმ საგანმანათლებლო პროგრამებით და გარემოთი, რომელიც მის ქვეყანაშია შექმნილი. რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, **ნათია ურუშაძემ** აღნიშნა, რომ კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენზე მეტად განვითარებული ქვეყნები აქცევენ დიდ ყურადღებას მის შედეგებს, რადგან ასეთი კვლევების შემდეგ იხვეწება პროგრამები, ყურადღება მახვილდება რიგ ფაქტორებზე.

* * *

მომავალი სასწავლო წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და „კერძო სკოლათა ასოციაცია“ ახალ პროექტს იწყებს. ერთობლივ ინიციატივაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესში“ სტუმრობისას განაცხადა.

სამინისტროს მხარდაჭერით, ახალი სასწავლო წლიდან, საქართველოში მოქმედი კერძო სკოლები სოციალურად დაუცველი ოჯახების ნიჭიერ მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემენ უფასოდ ისწავლონ სკოლებში, სადაც თანამედროვე ინფრასტრუქტურა და სწავლების მაღალი დონეა. სურვილის შემთხვევაში, კერძო სკოლებში გააგრძელებენ სწავლას ის მოსწავლეებიც, რომელთაც სასკოლო ეროვნულ ოლიმპიადებში გაიმარჯვეს. ეს იქნება მათთვის ჯილდო მიღწეული წარმატებებისთვის: *„მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს სისტემაში წახალისებული იყვნენ ნიჭიერი ბავშვები,* – აღნიშნა დიმიტრი შაშკინმა, – *ახალი პროექტით, კერძო სკოლებში სწავლა მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის არ იქნება პრივილეგია და ხელმისაწვდომი გახდება ნიჭიერი, მოტივირებული მოსწავლეებისთვის“.*

მოსწავლეთა შერჩევის პრინციპებზე და მისაღები კონტინგენტის რაოდენობაზე კერძო სკოლები თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას. მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელს შეუწყობენ კერძო სკოლების განვითარებას.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სკოლა-ლიცეუმში „მწიგნობართუხუცესი“ სტუმრობისას სწავლების მეთოდებსა და კერძო სკოლის გამოცდილებას გაეცნო, დაინტერესდა სკოლის ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური უზრუნველყოფით.

სპორტი

ქევხიშვილის მორიგი ამერიკული ტიტული

ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა მძლეოსანმა **მარიამ ქევხიშვილმა** ისევ გაიმარჯვა, ოღონდ ამჯერად ბევრად პრესტიჟულ შეჯიბრებაში, ვიდრე – აქამდე. თუ ადრე ის ძირითადად სხვადასხვა შტატის საუნივერსიტეტო ტურნირებს იგებდა ბირთვის კვრაში, ამჯერად აშშ-ს ზამთრის საუნივერსიტეტო ჩემპიონატში გაიმარჯვა. თანაც საქართველოს ახალი რეკორდით – 18,59. ეს გამარჯვება ქევხიშვილისთვის მეექვსეა წლევანდელ სეზონში, რეკორდი კი მესამეა – წინა შედეგი 18,56 იყო.

ამ დღეებში ქევხიშვილის ყატარის დედაქალაქ დოჰაში მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატში უნდა გამოსულიყო, მაგრამ საკუთარი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ხათრი ვერ გაუტეხა და ამერიკაში დარჩა. ეს გადაწყვეტილება ბევრად უფრო გონივრული აღმოჩნდა – დოჰაში ამ მაჩვენებლით მერვე ადგილზე გავიდოდა, რაც ცუდი მიღწევა არ იქნებოდა, მაგრამ ახლა აშშ-ს სტუდენტთა ჩემპიონიც გახდა და საქართველოს ზამთრის რეკორდიც გააუმჯობესა. აღსანიშნავია, რომ მან ზედიზედ მესამედ მოიგო აშშ-ს საუნივერსიტეტო პირველობა.

ახლა ქევხიშვილს ისევ ზამთრის პირველობები, მაგრამ არანაკლებ საპასუხისმგებლო ტურნირები ელოდება. მაისში მან აშშ-ს ზაფხულის საუნივერსიტეტო პირველობაზე უნდა იასპარეზოს, მერე კი ევროპაში გადმოფრინდება – ივნისში მალტაზე ევროპის გუნდური პირველობა ტარდება და იქ გამოვა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. ჯერჯერობით ჩვენები მესამე დივიზიონში გამოდიან და მეორეში გადასასვლელად იბრძვიან. მალტაზე, ივლისის ბოლოს, ბარსელონაში გასამართ ევროპის პირად პირველობაზე მოსახვედრი საგზურებიც გაიცემა, თუმცა ქევხიშვილს ის მოპოვებული აქვს – ნორმატივი ამერიკაშივე შეასრულა.

პირველი ტურნირის პირველი მედალოსნები

თბილისის **ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დიდოსტატ **ბუხუტი გურგენიძის** სახელობის პირველი საერთაშორისო ტურნირი. 8 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ტურნირში 6,5 ქულით **ანტონ ნადირაძემ** გაიმარჯვა, მომდევნო ადგილების გამოსავლენად კი დამატებითი კოეფიციენტები გახდა საჭირო. 5,5-5,5 ქულა დააგროვეს **დიმიტრი ჯიბუტმა**, **ნიკოლოზ პეტრიაშვილმა** და **თამარ ლაგაზაურმა**, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით ვერცხლი ჯიბუტმა მოიპოვა, ბრინჯაო – პეტრიაშვილმა.

10-წლიან გოგონათა ტურნირში ყველას **ანასტასია ხარაზმა** აჯობა 6 ქულით, მას თითო ქულით ჩამორჩნენ **სალომე ხუცურაული**, **მარიამ სკამკოჩაიშვილი** და **მარიამ წამალაშვილი**. საქმეში აქაც კოეფიციენტი ჩაერია, რომელმაც უმედლოდ წამალაშვილი დატოვა, მეორეზე ხუცურაული გავიდა, სკამკოჩაიშვილი – მესამეზე. ამავე ასაკის ვაჟებში **ივანე გამეზარდაშვილმა** მხოლოდ ნახევარი ქულა დაკარგა და 7 ქულით იმარჯვა. ქულით ნაკლები დააგროვა **ბექა თათურაშვილმა**, რომელსაც, თავის მხრივ, ასევე ქულით ჩამორჩა მესამეზე გასული **ნიკა ცომაია**.

12-წლიანებში ის ნახევარი ქულაც არ დაუკარგავს და მაქსიმალური შედეგით – 7-დან 7 ქულით **გურამ ჭელიძემ** გაიმარჯვა. 5,5-5,5 ქულით მომდევნო ადგილები **რატი პერტიამ** და **მარიამ თვალავაძემ** გაინაწილეს.

14-წლიანთა ტურნირში ვაჟებს გოგომ აჯობა – 6,5 ქულით ჩემპიონობა **დეა გოგიშვილმა** მოიპოვა. 5,5 დააგროვა **ალექსანდრე ებრალიძემ**, რომელსაც ქულით ჩამორჩა **უჩა მღვდელაძე**.

18-წლიანებში 6 ქულით ვადამდე გაინაღდა ჩემპიონობა **ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა**. 5 ქულით ვერცხლი **კახაბერ წერეთელმა** მოიპოვა, ბრინჯაო კი 4,5 ქულით – **ლიკა კობეშავიძემ**.

ჭანტურიას დუბლი

14 მარტს „რეუსთან“ გამართული შეხვედრა დიდხანს დაამახსოვრდება „ბარსელონას“ ჟუვენილ ბ 16 წლის ქართველ თავდამსხმელ **გიორგი ჭანტურიას**. ამ შეხვედრაში კატალონიელებმა 2:1 მოუგეს მასპინძლებს, ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნო კი ისაა, რომ ორივე გოლი ქართველმა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მან მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა – მეორეში შეცვალეს. ჭანტურიას ესპანური გოლები არ უკვირს – 11 თამაშში უკვე 12 დაუგროვდა, მაგრამ დუბლი მაინც გამორჩეული ამბავია. მით უფრო, კატალონიელებმა მისი გოლებით პირველად გაიმარჯვეს.

სადებიუტო მარცხი

ბოლო ხანებში ქართული ფიგურული ციგურაობა **ელენე გედევანიშვილის** სახელთან ასოცირდება, თუმცა ვანკუვერის ტრაგიკულ ოლიმპიადაზე **ოთარ ჯაფარიძისა** და **ალისონ ლი რიდის** მოცეკვავე წყვილმა, წარუმატებლობის მიუხედავად, სამომავლოდ მაინც საკმაო იმედები ჩაგვისახა. ახლახან საერთაშორისო არენაზე კიდევ ორი ქართველი მოციგურავე გამოჩნდა – **ნინო აბაშიძემ** და **ანი ლომინაძემ** ჰოლანდიურ ჰაგაში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში იასპარეზეს. სამწუხაროდ, ჩვენები მოკლე პროგრამის შემდეგ გამოეთიშნენ ტურნირს, თუმცა კარგია, რომ მათ ამ რანგის ტურნირზე თავის გამოჩენის შანსი მიეცათ. ჯერჯერობით ორივე ჩვენებური მხოლოდ 14 წლისაა და თქმაც არ გინდათ, რომ ეს მათთვის სადებიუტო ტურნირი იყო. ალბათ, შეხსენება არც იმაზე დაგჭირდებათ, რომ მათ საერთაშორისო ტურნირების გამოცდილებაც აკლიათ. ამიტომაა საჭირო ხშირი საშეჯიბრო პრაქტიკა და ვინძლო, მალე ახალი გედევანიშვილიც ვიხილოთ.

აქვე გეტყვით, რომ თვითონ ელენე გედევანიშვილი ახლა მსოფლიოს პირველობისთვის ემზადება, ამასობაში კი მისი 17 წლის ძმა **დიმიტრი გედევანიშვილი** აგრძელებს გამოსვლებს სამთო მოთხილამურეთა ტურნირებში. ახლახან მან ამერიკულ ბურკში ჩრდილოეთ ამერიკის თასზე იასპარეზა, სადაც სუპერკომბინაციაში 45-ე იყო, სუპერგიგანტში – 65-ე.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე